საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 8 ივლისი. 2016 წ. №126 (8018), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნუთუ ამდენი სიკვდილი საკვდილი უნდა შერჩეს

ფიურერ საკაშვილს?! 3

თუ არა დამქაშები ბოკერია და ადეიშვილი, ის ასე ვერ გალაღდებოდა და გათავხედდებოდა!

კეთილად გარდაქმნილი გველი და მგელი ჯერ ბუნებაში არ არსებულა!

ქვეყანა პოლიტიკურ ბატალიებს არ უნდა გადავაყოლოთ! 4

დიდი საბანკო გარიგება - „სოსიეტე ჟენერალი“ საქართველოდან მიდის 6

პირადი ცხოვრების დაცვა

რა გამოწვევის წინაშე დგას თამარ ქალდანი?

საცა სამართალია, ქართული საზოგადოების დამანგრეველი და ადამიანების მწამებელი, მთელი ცხრა წელიწადი სხვათა ნება-სურვილით გაპარპაშებული ნაციონალებს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა მიეცეთ!

საქართველოს ამომრჩეველი საბედისწეროდ აღარ უნდა შეცდეს!

კეთილად გარდაქმნილი გველი და მგელი ჯერ ბუნებაში არ არსებულა!

აშკარაა, რომ ნაციონალების ამჟამინდელი გაუგონარი თავხედობა „ოცნების“ უპატიებელი სიმხდალისა და სიჯაბნის ბრალია!

კეთილმა დროულად უნდა სძლიოს ბოროტს! დაგვიანება ამ შემთხვევაში მომაკვდინებელია!

რასაც დემოკრატიის სახელით ძაბუნად მოქმედი ხელისუფლება ვერ ბედავს, თვითონ უკვე ცხოვრებისგან ჭკუანასწავლმა ქართველმა ხალხმა უნდა ქმნას თავისი ისტორიული საქმელი!

დავით ბაქრაძე:

ვიზალიბერალიზაციას მხოლოდ შესაბამისი პროცედურული გაფორმება სჭირდება 4

საქართველოში მობილური ხმოვანი მომსახურებისა და ფართოზოლოვანი მომსახურების ფასები ერთ-ერთი იაფია რეგიონში, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ფასებთან შედარებით 2

ირაკლი ყურაშვილი:
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში

7

საქართველოსა და შვეიცარიას შორის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა

საქართველოს პრეზიდენტი ვარშავაში NATO-ს სამიტში მონაწილეობს

საქართველოს დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ხელმძღვანელობით, NATO-ს სამიტზე დასასწრებად ვარშავასში ჩავიდა. ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოვა NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურების შეხვედრაზე, რომელიც ავღანეთის თემაზე – „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ იმართება.

„ქვეყნის პირველი პირი NATO-ს პარტნიორი ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელების პატივსაცემად გამართულ სამუშაო სადილსაც დაესწრება.

სამიტის ფარგლებში პირველად იმართება NATO-საქართველოს კომისიის სხდომა, სადაც დაგეგმილია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობა, მიხეილ ჯანელიძე ასევე დაესწრება სამუშაო ვახშამს, რომელიც NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების პატივსაცემად იმართება. ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი მონაწილეობას მიიღებს ურთიერთთავსებადობის პლატფორმის შეხვედრაში, რომელიც NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების დონეზე იმართება“, – ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და სხვა ოფიციალური პირები.

„ტომრებით რომ იყრებოდა გაყალბებული ბიულეტენები, მაშინ არასოდეს გაუკრიტიკებიათ ის არჩევნები“



ჯონ კერის ვიზიტს „მრეწველების“ ლიდერი ეხმაურება. გოგი თოფაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე წინა წლებში ჩატარებული არჩევნები გაიხსენა:

„გავიხსენოთ არჩევნები 1995 წლიდან. მაშინ რატომ არ დააყენეს მისმა კოლეგებმა ეს საკითხი, აშკარად როცა ყალბდებოდა საქართველოში არჩევნები? ტომრებით რომ იყრებოდა გაყალბებული ბიულეტენები, მაშინ არასოდეს გამოუთქვამთ მათ ასეთი აზრი და არასოდეს გაუკრიტიკებიათ ის არჩევნები“, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

მისივე თქმით, არსებობს ორმაგი სტანდარტები და ზოგიერთი ტელევიზია საქართველოში ავრცელებს ინფორმაციას, სადაც უარყოფითად ხატავს ყველაფერს, რაც დადებითი გაკეთდა საქართველოში.

თოფაძის განცხადებით, უნდა გაკეთდეს აქცენტი, რომ თუ პრესა თავისუფალია, ის ვალდებულია, ობიექტურად გააშუქოს მოვლენები.

„ჯონ კერი დარწმუნდება იმაში, რომ ოქტომბერში საქართველოში ჩატარდება დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები, „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავა და დიდი უპირატესობით მოიგებს არჩევნებს“, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

საქართველოში მობილური ხმოვანი მომსახურებისა და ფართოზოლოვანი მომსახურების ფასები ერთ-ერთი იაფია რეგიონში, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ფასებთან შედარებით

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მობილური ხმოვანი მომსახურებისა და მობილური ინტერნეტის ფასების ბენჩმარკინგი გამოაქვეყნა. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მობილური ხმოვანი მომსახურების და ფართოზოლოვანი მომსახურების ფასები ერთ-ერთი იაფია რეგიონში. ეს იმ ფონზე, როცა საქართველოს მოქალაქეები პრეტენზიებსა და საყვედურებს გამოთქვამენ ხოლმე მობილურ საკომუნიკაციო სერვისებთან დაკავშირებით, რომ თითქოს მობილური კომუნიკაცია ჩვენთან ყველაზე ძვირია მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე ამის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაციაა განთავსებული. შეგიძლიათ იხილოთ www.gnce.ge.

მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნების მობილური ხმოვანი მომსახურებისა და მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების შესადარებლად, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) აქვეყნებს ყოველწლიურ ანგაგრიშს Measuring The information Saciety Report), რომელშიც ასახულია ინფორმაცია მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ინდიკატორების შესახებ, მათ შორის მსოფლიოში მობილური ხმოვანი მომსახურებისა და მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების შესახებ. უკანასკნელი ანგარიში გამოქვეყნდა 2015 წლის დეკემბერში და ასახავს 2014 წლის მონაცემებს მსოფლიოს მასშტაბით, – განმარტებულია ანგარიშში.

მეთოდოლოგია უპირატესობას ანიჭებს წინასწარი გადახდის სატარიფო გეგმებს. ტარიფები განიხილება გადასახადების ჩათვლით. მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს აქტივაციის საფასურს, პრომო აქციებს და სხვა დამატებით გადასახადებს.

ანგარიშში გამოყენებულია ფასების რამდენიმე ინდიკატორი, მათ შორის ფასი გამოსახული აშშ დოლარებში და აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით (აღინიშნება PPP$).

PPP (Purchasing Power Parity), მსყიდველობითი ძალის (უნარის პარიტეტი) საშუალებას იძლევა სხვადასხვა ქვეყნების მაჩვენებლების შედარებისას გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი ქვეყნების ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარი.

PPP-ს მნიშვნელობებს ქვეყნების მიხედვით აქვეყნებენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით შესაბამისად, 2015 წელს ლარის შესაბამისი PPP$ -ს მნიშვნელობა აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენდა 0.893, რაც იმას ნიშნავს, რომ 2015 წელს თუ პროდუქტი აშშ-ში ღირდა 1 აშშ დოლარი, მისი სავარაუდო ღირებულება საქართველოში 0.893 ლარი იქნებოდა. ასევე, თუ პროდუქტი საქართველოში ღირდა 1 ლ. მისი სავარაუდო ფასი აშშ-ში იქნებოდა 1-0.893 USD= 1.12 USD.

მობილური ტელეფონით გამოყენებისთვის განკუთვნილი მობილური ინტერნეტის ფასის შეფასების მიზნით განხილულია ქვეყანაში 3 უმსხვილესი ოპერატორის (საბაზრო წილების მიხედვით) 500 და 1000 მეგაბაიტიანი ყველაზე იაფი ინტერნეტ პაკეტები, ხოლო კომპიუტერით გამოყენებისთვის შესაბამისად 1000 და 4000-5000-მეგაბაიტიანი პაკეტები.

განიხილება 1-თვიანი ვადის მქონე ინტერნეტ პაკეტები ან ერთ თვესთან მიახლოებული ვადის მქონე პაკეტები. დამოუკიდებლად განიხილება წინასწარი და შემდგომი გადახდის სისტემები. ვინაიდან საქართველოში აბონენტების უდიდესი ნაწილი წინასწარი გადახდისაა, განხილვისას პრიორიტეტი მინიჭებული აქვს წინასწარი გადახდის სატარიფო გეგმებს.

კვლევაში განხილულია სტანდარტული პაკეტები (Standalone). ყველა სატარიფო გეგმის ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით. მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს აქტივაციის საფასურს, პრომო აქციებს და სხვა დამატებით გადასახადება (მაგ. device charge).

მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების მიმოხილვაში განხილულია აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაცემები 2016 წლის ივნისის მდგომარეობით. ფასების შესადარებლად საბაზისოდ აღებულია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU-ს) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია.

აღნიშნულ კვლევაში დამოუკიდებლად არის განხილული მობილური ინტერნეტის ფასები, რომლებიც მობილური ტელეფონით (handset-based) და კომპიუტერით (computer bused USB მოდემით) გამოყენებისთვის არის განკუთვნილი. ამ მონაცემების მიხედვით, საქართველო, უკრაინა და ბელორუსი ყველაზე იაფი სატარიფო სისტემის ქვეყნებს მიეკუთვნება და ბოლო ადგილებს იკავებენ. მაგალითად, მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების ბენჩმარკინგის კალათაში (IGB) საქართველო ყველაზე ბოლო პოზიციაზეა.

გამოდის, რომ მომხმარებელთა ხმაური ცოტა არ იყოს უსაფუძვლოა, ვინაიდან, საქართველოში მობილური ხმოვანი მომსახურებისა და ფართოზოლოვანი მომსახურების ფასები ერთ-ერთი იაფია რეგიონში, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ფასებთან შედარებით.

თეა ოსია





ნუთუ ამდენი სიკვდილი სახვივით უნდა შეერჩეს

ფიუერერ სააკაშვილს?!

ბოლო **დღეების მთავარი მოვლენა: 47 წლის ასაკში გარდაიცვალა სულხან მოლაშვილი, საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი შეფი და კვლავ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, ჩნდება კითხვები: „რა მოხდა?“, „ვინაა დამნაშავე?“**

დღეს საქართველოში ხალხის უმრავლესობა გულწრფელადაა დარწმუნებული, რომ დამნაშავეა მიხეილ სააკაშვილი, ვინც ციხეში უნდა იჯდეს. და ეს რწმენა არ შეუძლია გააქროს არანაირმა შეხსენებამ პოპულარულ რეფორმებზე, მისი მმართველობის დროს რომ განხორციელდა.

შეიძლება, მოიყვანო ამა თუ იმ უკანონობაში მიხეილ სააკაშვილის ირიბი მონაწილეობის ათობით ათობით მაგალითი თავხედური, ცინიკური და უსირცხვილო მონაწილეობისა, როდესაც პრეზიდენტის სავარძელში ჩაბრძანებული ადამიანი აშკარად ამაყობს იმით, რომ მას ყველაფრის ნება აქვს.

არაღებელი თვალითაც ჩანდა. სულხანმა გვიამბო, თუ როგორ აწამებდნენ მას ელექტროშოკით, — იხსენებს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და უმატებს: „ეს კაცი ფაქტობრივად მოკლეს ჯერ კიდევ ცოცხალი. სამწუხაროდ, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დიდი დაგვიანებით დაიწყო ამ საქმის განხილვა...“

სულხან მოლაშვილი (სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე): **„სააკაშვილის ციხეებში პატიმართა უმრავლესობა აწყდებოდა ისეთ საშინელებებს, რისი აღწერაც ძნელია. ხალხს ტოვებდნენ მედიკამენტების გარეშე, ნაცემებს ყრიდნენ ცემენტის ცივ იატაკზე კარცერში.**

დღეს მასმედიასა და პოლიტიკურ წრეებში გამოთქვამენ შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი შეფი ვანო მერაბიშვილი, თითქოს, დაკითხვაზე გამოიყვანეს ციხიდან ღამით, ე.ი. განუსაზღვრელ დროს. არ შემიძლია, ირონიის გარეშე ვუსმინო ამ მითქმა-მოთქმას! წერენ იმის შესახებ, რომ მერაბიშვილის ცოლი ითხოვს შეხვედრას ქმართან. მე კი წლისა და

ბოდა შევარდნაძის გარემოცვიდან სხვა ადამიანებისაგან .

ერთხელ კოლეგებთან საუბარი წამოვიწყეთ იმის შესახებ, თუ როგორი იქნება შევარდნაძისშემდგომი საქართველო, და, მახსოვს, გამოვთქვი ვარაუდი, რომ ედუარდ შევარდნაძე, შეიძლება, თავის მემკვიდრედ სულხან მოლაშვილს ამზადებსო. ვიღაც ჩემს პროგნოზს დაეთანხმა, ვიღაცა ამან გააკვირვა, რამაც, სხვათა შორის, არ შეარყია ჩემი რწმენა, რომ სულხან მოლაშვილი ბევრი პარამეტრით არის სწორედ ის ადამიანი, ვინც საქართველოს სჭირდება.

ჟურნალისტი გიორგი უძილაური: **„სულხანს შეიძლება ჰქონებოდა დიდი და სახელოვანი მომავალი, მისი ცხოვრების გზა რომ არ გადაჰყროდა სააკაშვილის ცხოვრების გზას. სწორედ სულხან მოლაშვილი, რომელიც კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო, გახდა პირველი სახელმწიფო ჩინოვნიკი, ვინაც გამოააშკარავა სააკაშვილი, როგორც ადამიანი, რომელსაც სახელმწიფო**

მაგრამ არის ერთი საქმე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ვერ დაემალება და ვერსად გაექცევა ვერასოდეს, ესაა სულხან მოლაშვილის მიმართ ანგარიშსწორებისა და ფაქტობრივი მკვლელობის საქმე.

დაპატიმრების წინა დღეს სულხან მოლაშვილმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. მან განაცხადა, რომ მას აქვს სერიოზული მასალა სააკაშვილისა და ჟვანიას შესახებ, რაც მათ ააშკარავებს კორუფციაშიო, მაგრამ მოლაშვილმა მაინც ვერ შეძლო ამ დოკუმენტების გამოქვეყნება. სააკაშვილმა დაასწრო... მოლაშვილი დააპატიმრეს.

ყოველ სახელმწიფო მოხელეს — დიდს, საშუალოს თუ ყველაზე მცირეს, არაფრის მაქნისს — აქვს თავისი ჩონჩხი კარადაში. საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის ასეთი ჩონჩხი იყო „რკინის ნიღაბი“, მიხეილ სააკაშვილისა — ესაა სულხან მოლაშვილი. მაგრამ მიზანი ყოველთვის ერთია: დამალოს სახე. თანაც, ძალიან ხშირად — არა სხვისი, არამედ საკუთარი.

კონტროლის პალატის ყოფილ შეფს მრავალი წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის პირად პატიმარს უწოდებდნენ.

სულხან მოლაშვილი 2004 წლის აპრილში დააკავეს, 2006 წელს გაასამართლეს დიდი თანხის დატაცების ბრალდებით, მაგრამ 2008 წლის 6 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის შუამდგომლობით, ის შეიწყალა.

თავდაპირველად კი იყო მხოლოდ შოკი.

გაზეთებიდან: **„სულხან მოლაშვილი რესპუბლიკურ ციხის საავადმყოფოში მოხვდა სტენოკარდიული კრიზის დიაგნოზით. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ მას სამი თვის ვადით წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.**

მოლაშვილმა, რომელსაც ბრალს სდებდნენ 3 მილიონი ლარის (1,5 მილიონ დოლარზე მეტი) მითვისებაში, უკვე გადაიხადა ბიუჯეტში 265 ათასი ამერიკული დოლარი. ელოდებოდნენ, რომ ამჯერად მას გაათავისუფლებდნენ, მაგრამ სულხან მოლაშვილი კვლავ ციხეში რჩება. პროკურორ ვალერი გრიგალაშვილის განცხადებით, მოლაშვილი გათავისუფლდება მხოლოდ მაშინ, როდესაც 3 მილიონს გადაიხდის“.

მაშ ასე, დააკავეს 2004 წელს, გაათავისუფლეს 2008 წელს, მაგრამ რა საშინელი იყო ეს თითქმის ოთხი წელი!

ევროსაპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა მატიაშ იორშმა და ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი კამერაში მოინახულეს.

„ეს იყო კოშმარი, რაც ჩვენ ვნახეთ. კამერაში აუტანელი პირობებია“, — განუცხადა ჟურნალისტებს ელენე თევდორაძემ.

„საშინელი იყო მის სხეულზე შეხედვა: მრავალრიცხოვანი დაზიანება, ცხელი სიგარეტების კვალი შეუი-

თუ არა დამქაშები ბოკერია და ადეიშვილი, ის ასე ვერ გალაღდებოდა და გათავხედდებოდა!

რვა თვის განმავლობაში არ მაჩვენებდნენ შვილს.

სწორედ მერაბიშვილის ბრძანებით, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც მაშინ ვიწექი, გამასამართლეს. ღამის სამი საათი იყო. ამ „პროცესზე“ მე არ ვყოფილვარ, მასზე არავინ ყოფილა მოსამართლისა და პროკურორის გარდა. თანაც მოსამართლე გელაშვილი გალეშილი მთვრალი იყო და ასეთ მდგომარეობაში გამომიტანა განაჩენი...“

დღეს სულხან მოლაშვილი, რომელიც უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, რაც მან „ნაციონალური მოძრაობის“ ჯურღმულებში შეიძინა, უტყვი შორეთიდან უმზერს თავისი მწამებლის გაქსუებულ ფიზიონომიას.

ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერია: **„სამართლიანობა სულხან მოლაშვილის საქმესთან დაკავშირებით მაინც ვერ აღდგა. მაგრამ გპირდებით: ადრე თუ გვიან ეს მოხდება. შურისძიება გარდაუვალია!“**

... სულხან მოლაშვილი ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში 2000-იანი წლების დასაწყისში მოვიდა. უმალვე მოახდინა კარგი შთაბეჭდილება თავისი საქმიანობით, სიტყვაძვირობით, აზრის გადმოცემის მკაფიოობით, როდესაც ლაპარაკობდა — ლაპარაკობდა არსებითად. არ იქნევდა კუდს ახალ ძალამოკრებილ მყვირალა ოპოზიციის წინაშე ჟვანიასა და სააკაშვილის სახით, რითაც ძალიან განსხვავდე-

ხაზინა საკუთარ ჯიბეში ეშლებოდა: მისი ძვირად ღირებული მოგზაურობები საზღვარგარეთ, საჩუქრები, თავის ნაცნობებს რომ სთავაზობდი სახელმწიფოს ხარჯზე, დიდი ხარჯები თვითრეკლამაზე — ეს ყველაფერი გამოაშკარავდა. სწორედ ამის გამო იძიებდა შურს თავის მეტოქეზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი“.

კიდევ რა იმალებოდა ამის უკან?

სულხან მოლაშვილი: **„მიხეილ სააკაშვილს აქვს თვითგანდიდებისკენ, თანამდებობისკენ, სიმდიდრისკენ ავადმყოფური მიდრეკილება, რაც ხშირად ვლინდებოდა პრეზიდენტის პოსტზე მის მოსვლამდეც“.**

ისევ სულხან მოლაშვილი: **„მაღალი პოლიციური ჩინები — სანდრო გირგვლიანის მკვლელები, რომლებმაც მოიხადეს თავიანთი ვადის ნახევარი და შეწყალებული იქნენ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ, იმყოფებოდნენ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მათთვის სპეციალურად მომზადებულ აპარტამენტებში. ყოველდღიურად მათთვის რესტორნებიდან მოჰქონდათ რჩეული საჭმელები და სპირტიანი სასმელები. ქეიფები ღამის ყოველ ღამით იმართებოდა. ცხოვრობდნენ მხიარულად და ხმაურიანად, არავის ამას არავის არ უმალავდნენ. მძიმედ დაჭრილ ბუბა ბუთურიძეს კი, რომელიც ერთადერთი იყო, ვინც ცოცხალი გადარჩა თბილისში კორტებთან სპეციალური ოპერაციის შემდეგ, რომლის დროსაც პოლიციელებმა ორი ახალგაზრდა მოკლეს, მძიმე წამება არ აკლდა. მას ემუქრებოდნენ, რომ 25 წლით პატიმრობას მიუსჯიან, თუ არ აღიარებდა, რომ მანქანაში, რომელშიც მეგობრებთან ერთად ისხდნენ, იყო იარაღი და რომ ამ იარაღიდან ისროდნენ“.**

მოლაშვილი სააკაშვილის საწამებელში მოხვდა მეტად ჯანსაღი და ლამაზი ახალგაზრდა — მამაკაცი, რომელიც ჯერ 35 წლისაც არ იყო და გამოვიდა იქიდან სასიკვდილოდ განწირულ ადამიანად, განწირული რომ იყო შეყოვნებული სიკვდილისთვის.

იხ. 5 გვ.

ჯონ კერი მკვლელს შეხვდა!

ქართველი **საზოგადოება გაოცებული და გაოგნებულია, ამერიკის სახელმწიფო მდივანს ჯონ კერის რატომ არავინ შეატყობინა „ქართული ოცნებიდან“, თუნდაც საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ, რომ ბოკერიას სახით მან, ჯონ კერიმ, მიიღო და ესაუბრა სულხან მოლაშვილის უშუალო მწამებელსა და მკვლელს, ანუ ნაციონალურად შენიღბულ ტერორისტს, რომელსაც კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნება ელანდება!**

დაუჯერებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი სასაუბროდ შეხვედროდა უდანაშაულო ადამიანის მწამებელსა და მკვლელს!

ქვეყანა პოლიტიკურ ბატალიებს არ უნდა გადავაყოლოთ!

ერთად უნდა მოვძებნოთ გამოსავალი ამ პოლიტიკური აბლაბუდიდან, არ დავუშვათ ახალი კოჰაბიტაცია, რაც იქნება ქვეყნის დასასრული დემოკრატიის ეგიდით. და ამას ხელს უწყობს გაუგებარი პრეზიდენტი, რომელმაც ერს დებილი უძახა და ბოკერიას ხვდება, როგორც ოპოზიციას, ამას ხელს უწყობენ გამყიდველი პარტიები, „რუსთავი-2“-ს მკერდით რომ იცავენ (რაღა სააკაშვილი დაგვიცავს?)! ამას ხელს უწყობენ სოროსის ძუძუნაწოვი არასამთავრობოები, რომლებიც ოღონდ ფული აკეთონ, რას არ იკადრებენ, ამის თქმაც გეუხერხულება, სააკაშვილის და ამ უბედურების მოცილება გახდა ერის ბედნიერება და სანამ ვიცხოვროთ უბედურების ბედნიერებით?

მთელი ქვეყანა ერთ კაცს ჩამოეკიდა, რომელმაც მართლაც თავი გადადო და ეს ურჩხული მოგვაცილა, არადა, შეეძლო გვერდზე გამდგარიყო, როგორც სხვები და ამ უბედურებისთვის შორიდან ეცქირა, წარმოიდგინეთ, ისევ სააკაშვილის ბანდა რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში(?!)! ასე ინავარდებდნენ პარტიები, პოლიტოლოგები, ექსპერტები?

ᲐᲕᲐᲓ თუ კარგად მიილია რეჟიმის შემდგომი პერიოდი – კოჰაბიტაციით ცნობილი, მაგრამ „ნაცების“ პარტიასთან რა თანამშრომლობაც გამოვიდა, კარგად ნახა ქართველმა ხალხმა, მთელი მათი მოღვაწეობა ყველა მიმართულებით ქვეყნის განვითარების შეფერხებაზე იყო ორიენტირებული. არადა, მათ აქვთ დიდი ფინანსური რესურსი, რომელიც ქვეყნის გაყიდვა-ძარცვით და ამერიკული პრემიების სახით მიიღეს და ახლაც იღებენ, ამდენად, ცხადია, კარს მომდგარი არჩევნების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება ამ დესტრუქციული მოღალატე-დამანგრეველი ძალის ყველა პარამეტრით ჩამოშორება პოლიტიკური ასპარეზიდან. ამასთან ერთად „ოცნებამ“ უნდა აღიაროს ის შეცდომები, რამაც „ნაცების“ რეაბილიტაცია განაპირობა, ვერ მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა, ველარ გადაიდგა ნაბიჯები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, კვლავ პრობლემაა სიღარიბე, უმუშევრობა...

ქართველობა ტოვებს ქვეყანას, განსაკუთრებით ქალები, ახალგაზრდები, რათა არჩინონ აქ დარჩენილები, რომელთა მართვა იოლია სიღარიბის გამო – „შენ არ იცნობ სიღარიბეს, იგი არის პატარა ჯვარცმა“, სამწუხაროდ, ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ ჩვენი პატარა ქვეყანა, როგორიც იგი ოდითგან გვქონდა. რატომღაც არავინ ახსენებს კოლხეთს, მსოფლიო ცივილიზაციის სათავეს, მათ შორის ევროპული ცივილიზაციის და რამდენად რიტორიკულია კითხვა – ვართ თუ არა ევროპული ცივილიზაციის ნაწილი. რაოდენ სამწუხაროა, რომ ქართველები ცნობილი არიან ემიგრაციაში ქურდებად, მოსამსახურეებად, მეძავეებად... მოკლედ, ამ მშვიდობიან დროს უნდა ვიბრძოდეთ ქვეყნის იმიჯის გადასარჩენად, რაც მხოლოდ ეროვნული ძალებით არის შესაძლებელი, თუმცა იმდენად ჭრელია პოლიტიკური სპექტრი, გაჭირდა გაერთიანება, არადა, ქვეყანა ერთია. ყოველდღე ახალი პარტიები შემოდიან ასპარეზზე, ამდენი პარტია არ იცის მსოფლიო ისტორიამ, ესეც ქართული კუდაბზიკობაა, მიზანი მხოლოდ ძალაუფლებაა, ბრძოლა თანამდებობისთვის, ანუ პირადი კეთილდღეობისთვის (4 წელი არაა ცოტა დრო). ჩვენ გავიმარჯვებთ! – გაჰკივიან ყველა მხრიდან, ხალხი როდის გაიმარჯვებს? ხალხი, რომლის მოთმინების ფიალა აივსო და ამ სიმწარეს ვიღაცას აზღვევინებს, თუ...

თითქმის ყველა პარტია პროდასავლურია, რაც მათ ინტელექტს, განათლებას „მიანიშნებს“, არადა ღვთიური გზა ყველასგან გამორჩეულია, რასაც კარგავს ევროპა, ქრისტიანობის დაკარგვით.არავის ახსოვს საქართველოს გეოსტრატეგიული ფუნქცია, კულტურის ცივილიზაციების რელიგიათა გადაკვეთის ადგილი მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობით, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა დააკარგვინეს ქართველებს, მათ დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ. ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა, ხალხს იმედი სჭირდება ყველაზე უფრო, ვინემ ოცნება, იმედი იმისა, რომ მშიერი არ მოკვდება და ავადმყოფობა ვერ მოერევა – მას სახელმწიფო დაიცავს გაჭირვების ჟამს – სადაა მერე ეს იმედი, კოალიციურმა კონგლომერატმა ლამის დაასამარა იგი, მხოლოდ პატრა ნაპერწკლები ელავს.

„ოცნებას“ მათი ჩამოცილება ძვირად უჯდება – ურეიტინგო პარტიები მოვიდნენ ხელისუფლებაში, რატომ? მათი პროდასავლური ხედვის გამო, რაც არ ემთხვევა ქართველი ხალხის ინტერესებს, მის ბუნებას, ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ინცესტი და სხვა ათასი უბედურება არ ზის ქართველი კაცის ხასიათში, რამეთუ ესაა გზა ინსტინქტისა და ველურობისკენ. ეტყობა, დეგრადირებული ქვეყანა ვიღაცას სჭირდება, რათა საბოლოოდ დაიპყროს იგი (რა საჭიროა ბომბები). თუ არ გამოვფხიზლდით, არ გავერთიანდით, მალე ქვეყანას გადაიყოლებს უაზრო პოლიტიკური კინკლაობა. ძირითადი მოქიშპეები პრორუსული და პროამერიკული ძალებია. გარბიან ერთნი მოსკოვში, მეორენი – ვაშინგტონში და აბეზღებენ ერთმანეთს თავიანთი პატრონებს წინაშე.

ადრეფეოდალური ხანა მახსენდება, შუღლი და მტრობა. გენი არ ისვენებს, 21-ე საუკუნის შადიმანები არ ისვენებენ, როცა საქართველოს ამდენი შინაური მტერი ჰყავს, პოლიტიკაში – განათლებული აფერისტები, ეკლესიაში – ყანდურები, ბიზნესში – მონოპოლისტები (პოლიტიკა შეერწყა ბიზნესს, პარტია – სახელმწიფოს. სხვა როგორ დაგინდობს, როცა მთავარსარდალი შვილს ომში ვერ გაუშვებს (თავად გადაწყვიტოსო), როცა პარტიული ლიდერების აზრით აფხაზეთი – სამაჩაბლო დამოუკიდებელია „ისტორიულად“ და საქართველოს შემადგენლობაში არც არასდროს ყოფილა.

როგორ გინდა, დაუჯერო, რომ ამათ ქვეყანა უყვართ, რომ ქვეყნის გადასარჩენად ნატო უნდათ, როცა 9 წელი ანგრევდნენ მას დემოკრატიას და პროდასავლაურობას ამოფარებულები თავიანთი მედიით. ბინძური თავისუფალი სიტყვით, რომელიც როგორც ზონდერ-ტელევიზია იცავდა და იცავს სააკაშვილის რეჟიმს, როგორც ორგანიზაცია, და ახლა, სამწუხაროდ, ლამის მთელი პარტიული „ელიტა“ დადგა მის დასაცავად.

მართლა ისე ბნელა, რომ ველარ გაგვირჩევია დემოკრატიის შუქურა დემოკრატიის მესაფლავისგან? სააკაშვილი და მისი ბანდა არ იყო, რომ შეესია და ბდღვირი ადინა დამოუკიდებელ გაზეთებს? არადა თურმე თუ „რუსთავი-2“-ს თავს არ დავანებებთ (პატრონს დავუბრუნებთ) მერაბიშვილს, როგორც პოლიტიკურ პატიმარს, არ გავათავისუფლებთ, საფრთხეში ჩავაგდებთ დემოკრატიას, არც არჩევნები ჩაითვლება ლეგიტიმურად, დემოკრატიულად – თითს გვიქნევს ბებერი ევროპა, აშშ ხომ თავისი ელჩით შეტევაზე გადმოდის! რა გამოდის? თურმე დანაშაულებრივი ტელევიზიის მხილება დემოკრატიის უარყოფაა, თუ მკვლელებს გულში ჩავიხუტებთ მაშინ ვუნდივართ ევროპას! არა, ჩვენ არ გვინდა ასეთი ევროპა, ეს არ ნიშნავს, რომ გვინდა თუნდაც ერთმორწმუნე, დამპყრობელი რუსეთი, თუმცა, ისიც ევროპა არაა (დოსტოევსკი, ტოლსტოი...), განა რუსეთს არ ჩააბარა სააკაშვილმა ლამის მთელი საქართველოს ქონება, რომ არაფერი ვთქვათ „ომით“ მირთმეულ ტერიტორიებზე? აი, ასეთი დილემის წინაშე დგას დღეს საქართველო – არჩევანიც არ დაუტოვეს ცუდსა და უარესს შორის.

საქართველოს ხსნა ეროვნული ძალების კონსოლიდაციაშია, საზოგადოება ნიჰილიზმმა შეიპყრო, იგი უნდა ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ერთად უნდა მოვძებნოთ გამოსავალი ამ პოლიტიკური აბლაბუდიდან, არ დავუშვათ ახალი კოჰაბიტაცია, რაც იქნება ქვეყნის დასასრული დემოკრატიის ეგიდით. და ამას ხელს უწყობს გაუგებარი პრეზიდენტი, რომელმაც ერს დებილი უძახა და ბოკერიას ხვდება, როგორც ოპოზიციას, ამას ხელს უწყობენ გამყიდველი პარტიები, „რუსთავი-2“-ს მკერდით რომ იცავენ (რაღა სააკაშვილი დაგვიცავს?)! ამას ხელს უწყობენ სოროსის ძუძუნაწოვი არასამთავრობოები, რომლებიც ოღონდ ფული აკეთონ, რას არ იკადრებენ, ამის თქმაც გეუხერხულება, სააკაშვილის და ამ უბედურების მოცილება გახდა ერის ბედნიერება და სანამ ვიცხოვროთ უბედურების ბედნიერებით?

მთელი ქვეყანა ერთ კაცს ჩამოეკიდა, რომელმაც მართლაც თავი გადადო და ეს ურჩხული მოგვაცილა, არადა, შეეძლო გვერდზე გამდგარიყო, როგორც სხვები და ამ უბედურებისთვის შორიდან ეცქირა, წარმოიდგინეთ, ისევ სააკაშვილის ბანდა რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში(?!)! ასე ინავარდებდნენ პარტიები, პოლიტოლოგები, ექსპერტები?

ცხადია, „ოცნება“ როგორც პარტია, ბოლომდე ვერ შეკრა, რამეთუ არ ელოდა ამდენ ფარისეველს, ახლა რომ აგინებენ და ლამის დიქტატორად გამოჰყავთ კაცი, რომელმაც მოიყვანა ისინი ხელისუფლებაში. რა ქნას მან, „თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა“.

შეცდომებიც დაუშვა თავისთვის უცნობ პოლიტიკურ გზაზე (ასეთი პოლიტიკური ბატალიები ვის არ დააბნევს), ხათრით აგვარჩევინა პრეზიდენტი, მინისტრთა ნაწილმაც არ გაამართლა, დაპირებებიც მთლად ისე ვერ არის – უჭირს ხალხს და საზღვარგარეთ გარბის. თუ ასე გაგრძელდა, მალე უსაფლავო ქვეყანა შეგვრჩება, როგორც ბიბლიაში წერია „სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანები იბადებიან, არამედ – როცა კვდებიან, სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება“...

არავინ დავობს, რომ კოალიცია – კონგლომერატი აფერხებდა ქვეყნის განვითარებას, განსაკუთრებით „ნაცები“, ახლა ამათგან განთავისუფლდა „ოცნება“, ივანიშვილი მხარდაჭერას ითხოვს, რათა წინ წავიდეს ქვეყანა, მაგრამ ხალხს უჭირს ამის დაჯერება, დაიღალა ხალხი ამდენი დაპირებით, – ნატო, ევროკავშირი (რომელიც დიდმა ბრიტანეთმა დატოვა და რაღა ჩვენ ვიკლავთ თავს), ამის გამო აქეთ რუსი არ გვეშვება და არც არავინ ცდილობს მასთან მოლაპარაკებას!

იქნებ ნეიტრალური პოზიცია დაგვეჭირა, თორემ ორ ვეშაპს შორის ისე გავისრისებით და გავქრებით პოლიტიკური რუკიდან, არავინ იქნება ჩვენი მომკითხავი, არადა საქართველოს დიპლომატიას იმის თავიც არა აქვს, ეცადოს, პოლიტიკური სიტუაციების სათავისოდ გამოყენებას. არადა, არიან ქვეყნები – სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყაზახეთი... გვერდი აუარეს ამ პრობლემას – რუსეთი ძალით გვიტევს, აშშ – დემოკრატიის თავისუფლებით – ადამიანთა უფლების დაცვა თურმე პედარასტობა და ლესბოსელობა, ერთნაირსქესიანთა ქორწინება ყოფილა, მაშინ რაღაა ეროვნული ფენომენი, რწმენა, ტრადიციები, ისტორიული მემკვიდრეობა, კულტურა, ქართველი კაცის უნიკალური ხასიათი – გაუგებარი სიტუაციაა საქართველოში – თითქოს დამოუკიდებელია ქვეყანა, დამოკიდებულია ხელისუფლება – ცალკე – აშშ, ცალკე – ივანიშვილი და ცალკე – ხელისუფლება, ცალკე კიდევ – 200 პარტია!. არადა, ქვეყანა ერთია!

არჩევანი ჩვენზეა – სად არის საშველი? ღმერთმა ნუ ქნას, კვლავ გვეთქვას გალაკტიონის სიტყვები: „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲠᲐᲚᲐᲕᲐ,
„სრ“ საკ. კორ. გამეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი
ᲤᲝᲗᲘ.

ვიზალიბერალიზაციას მხოლოდ შესაბამისი პროცედურული გაფორმება სჭირდება

ᲕᲘᲖᲔᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია, რისი პროცედურული გაფორმებაც ძალიან სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, – აცხადებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე:

„ეს მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს კომიტეტი არის წარმდგენი აღნიშნული საკითხის პლენარულ სხდომაზე. LIBE-ს მომავალ სხდომაზე უკვე კენჭი ეყრება ამ საკითხს, მას შემდეგ რაც შეგროვდება შენიშვნები, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა პარტია, ყველა წარმომადგენელი თანხმდება. ამ პროცესში აუცილებელი იყო საგარეო საკითხთა კომიტეტის პოზიცია, რომელიც გამოქვეყნდა და ძალიან პოზიტიურია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პროცედურულად ეს საკითხი თანამიმდევრულად მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია და დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ გადაწყვეტილება ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით მიღებულია. ამ საკითხს სჭირდება შესაბამისი პროცედურული გაფორმება, რაც შესაბამის სტრუქტურებში ძალიან სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს“, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ნუთუ ამდენი სიკვდილი სახვივით უნდა შერჩეს ფიურერ სააკაშვილს?!

(მესამე გვერდიდან)

დავით იაკობიძე, ყოფილი ფინანსთა მინისტრი: **„სულხან მოლაშვილი დააპატიმრეს საბიუჯეტო სახსრების მითვისების ბრალდებით. სინამდვილეში კი მას ანგარიშს უსწორებდნენ იმისთვის, რომ მან ოფიციალურად გამოააშკარავა იუსტიციის მაშინდელი მინისტრი მიხეილ სააკაშვილი კორუფციაში. საჭირო ჩვენებების მიღებისთვის საპატიმროში სულხანს მწარედ აწამებდნენ. იმის გამო, რომ მოლაშვილის საქმემ შეიძინა ფართო რეზონანსი და მიიპყრო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ყურადღება, ციხის მსახურებმა დასვეს ის ნარკოტიკულ „ნემსზე“, რის შემდეგაც ბრალი დასდეს დეგრადაციაში, მეხსიერების დაკარგვასა და უუნარობაში – მისცეს ობიექტური ჩვენებები. დღეს სულხან მოლაშვილი – ეს სააკაშვილის რეჟიმის ფაშისტური ხასიათისა და მისი კაციჭამიური მისწრაფებების თვალსაჩინო დადასტურება – მკვდარია. მზად ვარ, შევაფურთხო სახეში ყველას, ვინც თავისი ხმის მიცემას აპირებს იმ ორგანიზაციისთვის, რომელმაც ფიზიკურად გაანადგურა სულხან მოლაშვილი და საქართველოს ბევრი სხვა ღირსეული მოქალაქე!“**

ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავის თანაგუნდელ და კომპანიონ ზურაბ ადეიშვილთან ამასწინანდელ სატელეფონო საუბარში გამოთქვა უკმაყოფილება, რატომაა, რომ სულხან მოლაშვილი დღემდე „გვედება ფეხებში“ და „ამღვრევს წყალსო“, რაზეც თითქოს ადეიშვილმა უპასუხა: მას დიდი სიცოცხლე აღარ დარჩენია – ორი თვე, მეტი არაო!“ თითქოს წყალში იყურებოდა“...

სულხან მოლაშვილი: **„ისინი, ვინც ძალიან მაწამებ-**

დნენ, დღეს თავს შესანიშნავად გრძნობენ, ცხოვრობენ ბრწყინვალედ და ჩემს სიკვდილს ელოდებიან...“

კულტურის პალატის თავმჯდომარე **დავით ოქიტაშვილი** – საქართველოს გენერალურ პროკურორს ირაკლი შოთაძეს: **„სულხან მოლაშვილი სააკაშვილისა და მისი მაჩანჩალების თვითნებობის მსხვერპლი გახდა. რატომაა, რომ ამ ადამიანის პირსისხლიანი მეციხურეები დღემდე არ დასჯილან? ნუთუ თქვენთვის საკმარისი არ იყო მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მან ასე უხვად წარმოგიდგინათ?!“**

დავით მირცხულავა, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი: **„მრცხვენია იმ ადამიანების გამო, ვისაც ენა მოუბრუნდება, შეადაროს სულხან მოლაშვილი ვანო მერაბიშვილს, და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ შეფს საქართველოს პოლიტპატიმარს უწოდებს. არა, პოლიტპატიმარი იყო მოლაშვილი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მერაბიშვილი. თავისი სიცოცხლის ბოლომდე ამ ბედით განაწამებ ადამიანს – საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის პირად პატიმარს – იმედი ჰქონდა, რომ სამართლიანობა მის მიმართ აღდგებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. სულხან მოლაშვილს ვერ გამოასვენებენ საკუთარი საცხოვრებლიდანაც კი, რომელიც ჩამოართვეს. მას ცოლის ბინიდან გამოასვენებენ“.** (სულხანი ქაშუეთის ტაძრიდან გამოასვენეს. ვ.ა.).

ჟურნალისტი **გელა ზედელაშვილი: „რამდენიმე დღის წინათ სიღნაღში ვიყავი. იქ ყველაფერი მზადა, ტურისტების მისაღებად, შენდება ახალი სახლები, კეთილეწყობა გზები. რასაკვირველია, პრობლემები არის, თუმცა ცხოვრება წესრიგში მოდის, და ამის დაუნახაობა შეუძლებელია. მაგრამ რამდენიმე ადამიანმა კერძო საუბარში თქვა: „კი, საქმე გამოსწორდა, მაგრამ შენ ხომ იცი – ეს მიშას დამსახურებაა“.**

მიშას დამსახურებას სიღნაღის რეკონსტრუქციაში მე არ უარვყოფდი, მაგრამ მაინც ვთხოვე ჩემს თანამოსაუბრეებს, იქონიონ მოთმინება და ჩემგან ასეთი ამბავი მოისმინონ.

თავის დროზე სიღნაღის რეკონსტრუქცია სააკაშვილმა დაავალა ყოფილ პარლამენტარს თემურ ჩარკვიანს, რომელიც იმ დროს დიდ სამშენებლო კომპანიას ფლობდა. რაც გაკეთდა, როგორ გაკეთდა და რა ვადებში – ეს ცალკე საუბრის თემაა. მთავარი კი არის ის, რომ სააკაშვილმა და მისმა ხალხმა პირდაპირ „გამოშიგნეს“ ჩარკვიანი, აიძულეს იგი, დაეხარჯა მთელი თავისი დანაზოგები უკანასკნელ ცენტამდე, შემდეგ კი ელემენტარულად „მოისროლეს“. საუბარი კი, სხვათა შორის, ათობით მილიონ დოლარს შეეხებოდა. ეს თავმოყვარე კაცი სავალალო კაბალაში აღმოჩნდა. ის დაიბრიყვეს, ფაქტობრივად, საცემ ბიჭად აქციეს. ფინალი ცნობილია: ჩარკვიანმა ვეღარ გაუძლო ყველა ამ გამოცდას და ტყვია იკრა შუბლში. სამწუხაროდ, სიღნაღში მომხდარი ეს ამბავი ბევრმა როდი იცის.

როდესაც გარდაქმნილ სიღნაღს ვუყურებ, ხშირად ვფიქრობ იმის შესახებ, რომ მის განახლებულ სახეს ადამიანის სისხლი აცხია – ეს თემურ ჩარკვიანის სისხლია. სხვათა შორის, ჩემი ნება რომ იყოს, სიღნაღის ერთ ქუჩას მის სახელს დავარქმევდი. იმედი მაქვს, როდესმე ეს მოხდება“.

ინფორმაცია განსჯისათვის: ჟურნალისტები საქართველოში დაინტერესდნენ, თუ როგორ გააშუქეს სულხან მოლაშვილის გარდაცვალება 29 ივნისის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ტელეარხებზე –„იმედი“, „რუსთავი-2“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მაესტრო“ და GDS. როგორც აღმოჩნდა, ერთადერთი ტელეარხი, რომელმაც არანაირი სიუჟეტი არ მოამზადა ამ თემაზე, იყო სააკაშვილის ჯიბის ტელევიზია „რუსთავი-2“.

პუბლიცისტი **ბაია ამაშუკელი: „შემომაქვს წინადადება: მოეწყოს თბილისში მიხეილ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი. მემორიალზე აღნიშნული უნდა იყოს მის მსხვერპლთა სახელები და გვარები, აგრეთვე იმ პირთა სახელები, ვინც დამნაშავეა დანაშაულებში კაცობრიობის წინაშე. დაე, არა მხოლოდ მწამებლებს, არამედ მათს შთამომავლებსაც ერცხვინებოდეთ ამ მიწაზე სიარული!“**

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

დავით იაკობიძე: დღეს სულხან მოლაშვილი – ეს სააკაშვილის რეჟიმის ფაშისტური ხასიათისა და მისი კაციჭამიური მისწრაფებების თვალსაჩინო დადასტურება – მკვდარია. მზად ვარ, შევაფურთხო სახეში ყველას, ვინც თავისი ხმის მიცემას აპირებს იმ ორგანიზაციისთვის, რომელმაც ფიზიკურად გაანადგურა სულხან მოლაშვილი და საქართველოს ბევრი სხვა ღირსეული მოქალაქე!“

◎ წიგნი

„ზუგდიდი – წარსული და თანამედროვეობა“



2015 წელს გამომცემლობა „ივერიონმა“ (გამომცემელი – ზაურ ნაჭყებია) გამოსცა 580-გვერდიანი წიგნი „ზუგდიდი – წარსული და თანამედროვეობა“.

როგორც წიგნიდან ჩანს, მისი შექმნის იდეა ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს ვახტანგ კვარაცხელიას ეკუთვნის. მან საზოგადოება „ზუგდიდელს“ შესთავაზა, რომ ამ ქალაქის ისტორიაზე საცნობარო-ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი შეექმნათ. საზოგადოების თავკაცმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ოთარ ფაცაციამ და მისმა თანამოაზრეებმა მხარი დაუჭირეს შემოთავაზებულ იდეას. წიგნის შექმნაში ფართოდ ჩაება საზოგადოება, მონაწილეობდა 200-ზე მეტი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი. გამოყენებულია 1500-ზე მეტი წყარო. წიგნი შედგება 14 თავისგან, თითოეულ მათგანს თავისი ავტორი ჰყავს.

ნაშრომში შესაბამის მეცნიერულ მიდგომებსა და მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით საინტერესოდაა განხილული ზუგდიდის ტერიტორიული მდებარეობა, ბუნება, ბუნებრივი რესურსები, არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიული განვითარების ეტაპები, თავისებურებები, ტენდენციები, სოფლების ისტორია, დემოგრაფიული ვითარება, მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება, საეკლესიო ცხოვრება, ეკონომიკური განვითარება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერება, მწერლობა, თეატრი, მუზეუმები, სპორტი, მხატვრობა... ერთვის მნიშვნელოვანი ფოტომატიანე.

პირველი განცდა გახლავთ ის, რომ, ფაქტობრივად, წიგნიდან იმზირება მთელი საქართველო, მისი წარსული და დღევანდელობა.

ამიტომ რთულია წიგნზე, მის თითოეულ თავზე მოკლედ და თანაც ღრმად საუბარი. მასში არა მხოლოდ ზუგდიდის, არამედ დღევანდელი საქართველოს ტკივილიც და პრობლემაცაა ასახული.

ამ არაჩვეულებრივი წიგნის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის რედაქტორთა საბჭოს ხელმძღვანელს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ჭითანავას.

წინამდებარე ნაშრომი თვალნათლივ ადასტურებს არა მხოლოდ იმას, რომ ზუგდიდს მრავალსაუკუნოვანი საინტერესო და სახელოვანი წარსული აქვს, არამედ გვიჩვენებს იმ სტრატეგიული რესურსების მრავალფეროვნებასა და სიცოცხლისუნარიანობას, რომლებიც, მათი რაციონალური გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ თანამედროვე სტანდარტებით ეკონომიკის ჩამოყალიბებაფუნქციონირებას, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცებას, მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალ დონეს. ამით კი, როგორც ყოველთვის, მომავალშიც ზუგდიდი თავის ისტორიულ როლსა და ადგილს დაიმკვიდრებს საერთოდ ეროვნული ფენომენის, კერძოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-განმტკიცებაში.

წაკითხვის შემდეგ გეუფლებათ რწმენა, რომ ამ ნაშრომის ავტორებს ქვეყნის სხვა რეგიონებიც მიბაძავენ.

მაია გელიაშვილი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

◎ პირადი ცხოვრების დაცვა

რა გამოწვევის წინაშე დგას თამარ ქალდანი?

პერსონალურ მონაცემთა დაცვა — ამ ინსტიტუციის ფუნქცია არათუ საზოგადოებას, არამედ სამართალდამცველებსა თუ კანონმდებლებსაც არა აქვთ ჯეროვნად გათავისებული, რას ნიშნავს ის, რისთვის არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და აპარატი, რა დანიშნულება აქვს მას მოქალაქეებისთვის...

ახალი ინსტიტუტის შექმნა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც ძველმა ხელისუფლებამ თავით ფეხებამდე გააცამტვერა და შელახა ადამიანის უფლებები, ინდივიდის თავისუფლება, პირადი ცხოვრება... „ოცნების“ მთავრობის პირობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი შეიქმნა და მას უკვე სამწლიანი ისტორია აქვს. 22 ივნისს პარლამენტმა თამარ ქალდანი მეორე ვადით დაამტკიცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორად.

რამდენად დაცულები ვართ დღეს? მაგალითად, ავტობუსის ბარათის გამოყენებისას, ოპერატორს თავისუფლად შეუძლია დაადგინოს ბარათის მფლობელის ადგილსამყოფელი, გადაადგილების მარშრუტი. ჩვენი ვრცელი პერსონალური მონაცემები ინახება სააფთიაქო ქსელების ბაზებში, რომლის ბარათებსაც ვიყენებთ, ჩვენს პირად მონაცემებს ფლობენ კომერციული ბანკები და სხვა... გაუაზრებლობის თუ საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობის გამო, გვგონია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემა არის ვიწრო, თუმცა, ამ დროს, ის ეხება თითოეულ მოქალაქეს, ყოველ ჩვენგანს.

თამარ ქალდანმა საზოგადოებას სამწლიანი ანგარიში წარუდგინა და აღნიშნა: **„ამ ხნის განმავლობაში ძირითადად ორიენტირებული ვიყავით სისტემური პრობლემების იდენტიფიცირებაზე, გამოვლენაზე და შემდეგ მათ აღმოფხვრაზე, ამიტომ ძირითადად მოვიცავით მსხვილი საჯარო სტრუქტურები და მსხვილი კერძო ორგანიზაციები, მაგრამ არანაკლები პრობლემები შეიძლება არსებობდეს საშუალო და მცირე სექტორში, ამიტომ უნდა გაიზარდოს მასშტაბები და ყველა სფერო მოვიცვათ“.**

სამი წლის განმავლობაში პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით სულ 229 განცხადებაა შესული აპარატში. 2013 წელს — 2, 2014 წელს — 19, 2015 წელს — 120, ხოლო 2016 წლის პირველ ნახევარში — უკვე 88. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ინტერესი იზრდება და რომ პრობლემები საკმაოდ არის. ხდება საინტერესო გამონაკლისებიც. მაგალითად, თამარ ქალდანის თქმით, ერთმა ქალბატონმა მოითხოვა სარძლოს ოჯახის წევრების ნასამართლეობის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, რომელიც კანონით საჯარო და ხელმისაწვდომი არ არის. დღემდე არსებობენ ბანკები, სადაც კლიენტს ხელს აწერინებენ ხელშეკრულებას, რომელშიც გარკვევით წერია, რომ ბანკს აქვს უფლება, პირის პერსონალური მონაცემები გადასცეს მესამე პირს. კლიენტების უმეტესობა ამ დეტალებს როდი უღრმავდება, თუმცა, ეს კანონდარღვევაა...

შემოწმებულ საჯარო დაწესებულებებს შორის მოხვდა საქართველოს პროკურატურა (სხვათა შორის, 10-ჯერ შემოწმდა და საპასუხოდ უჩივლა კიდეც ინსპექტორის აპარატს, მაგრამ უშედეგოდ). შინაგან საქმეთა სამინისტრო შემოწმდა 8-ჯერ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო — 2-ჯერ. ასევე 2-ჯერ შემოწმდა სერვისების განვითარების სააგენტო. თითქმის ყველა სამინისტრო შემოწმებულია, რამდენიმე მუნიციპალიტეტიც... შემოწმებულია კერძო სექტორი: სათამაშო ბიზნესი, სატრანსპორტო კომპანიები, სასტუმროები, ფარმაცევტული კომპანიები, საფინანსო ორგანიზაციები, ნავთობკომპანიები... ყველაზე მეტი ხარვეზი, რომელიც გამოიკვეთა, იყო პირდაპირი მარკეტინგის წესების დარღვევა და პრინციპების დარღვევით მონაცემთა დამუშავება...

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ბიუჯეტი 2013 წელს თუ მხოლოდ 205 ათასი ლარი იყო, დღეს ის 2 მილიონს აღემატება მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, გადამზადებული თანამშრომლებით და... დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზით. როგორც ინსპექტორის მოადგილე ნიკოლოზ ბრეგვაძე ამბობს, **არსებული კანონმდებლობა არ იძლევა უფლებას, ვიპოვოთ ოქროს შუალედი პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციას შორის... სწორედ ეს არის ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა...** სხვათა შორის, საქართველოს დღემდე არა აქვს კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ პირის შემოსვლისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება, თუმცა, თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია მათი საქმიანობის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესისა და, ზოგადად, გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე არის უფრო ღია და ხელმისაწვდომი, ვიდრე სხვა პირების შემთხვევაში, ანუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი შესაძლებელს ხდის თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვებას... რომელიც შეუსაბამობაში მოდის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონთან.

ასე რომ, არათუ საქართველოსნაირ გამოუცდელ ქვეყანას, არამედ მაღალი დემოკრატიისა და კარგი გამოცდილების მქონე სახელმწიფოებსაც კი უჭირთ ამგვარ პრობლემასთან გამკლავება. ამის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა ნდობა ისევ თამარ ქალდანს გამოუცხადა, რომელიც მომავალი სამი წელიწადი პირადი ცხოვრების დაცულობას უნდა ემსახუროს.

თეა მოსია

საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადავიდა

მსოფლიო ბანკის ბოლო კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფიდან საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადავიდა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ვფიქრობთ, რომ ამ კლასიფიკაციაში წინსვლა საქართველოს ბოლო 15 წლის განმავლობაში არ ჰქონია. ეს არის მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო იმიჯის და საქართველოს ცნობადობის ამაღლების კუთხით“, — განაცხადა პრემიერმა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა განმარტა, მსოფლიო ბანკი ქვეყნების კლასიფიკაციას შემოსავლების მიხედვით ყოველწლიურად აქვეყნებს და ეს კლასიფიკაცია ეფუძნება თითოეული ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებას.

ჯერ რიმა ბერაძე, შემდეგ თედო კობახიძე...

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე გამოკითხეს.

საქმე ეხება აუდიტის სამსახურის მიერ შესაძლო დარღვევის შესახებ დაწყებულ მოკვლევაზე, რომელიც „სამართლიანი არჩევნების“ მიმართვის საფუძველზე დაიწყო. არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, ღონისძიება, რომელიც რიმა ბერაძემ საქველმოქმედო ორგანიზაციასთან „ქართული ოცნება „ჯანმრთელი მომავალი“ ერთად ჩაატარა, მოსყიდვის ნიშნებს შეიცავს. საუბარია აქციაზე, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლის 200-მდე პედაგოგს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა.

დაკითხვის შემდეგ, რიმა ბერაძემ განაცხადა, რომ ყველა კითხვას გასცა პასუხი და დაამატა, რომ მას კანონი არ დაურღვევია. მისი თქმით, ის ჩუღურეთის მაჟორიტარია და საკუთარ ამომრჩეველზე მზრუნველობა მისი პირდაპირი მოვალეობაა.

რიმა ბერაძის შემდეგ, არ არის გამორიცხული, აუდიტის სამსახურში მისვლა უკვე თედო კობახიძეს მოუწიოს. გავრცელებული ინფორმაციით, „საიამ“ აუდიტის სამსახურს მიმართა, შეისწავლოს კობახიძის მხრიდან ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის მცდელობის ფაქტი. ამ შემთხვევაშიც საქმე ეხება პედაგოგებისთვის უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარებას, თუმცა როგორც ცნობილია, დაგეგმილი ღონისძიება გადაიდო და ის, სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ ჩატარდება.კვლევების ინიციატორები იყვნენ დიდუბის რაიონის გამგეობა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძე და ორგანიზაცია ქართული ოცნება — ჯანმრთელი მომავალი. აუდიტის სამსახურში მისვლა შესაძლოა, ორგანიზაციის დამფუძნებელსაც მოუწიოს, ვინაიდან როგორც „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, ამ ორგანიზაციამაც, სავარაუდოდ, დაარღვია საარჩევნო კოდექსი.

◎ საბანკო სექტორი

დიდი საბანკო გარიგება — „სოსიეტე ჟენერალი“ საქართველოდან მიდის

ქართულ საბანკო სივრცეში დიდი შერწყმა იგეგმება. ბანკ „რესპუბლიკისა“ და „ბაზისბანკის“ გაერთიანების საფუძველზე ჩინური „ჰუალინგი“ საქართველოში სიდიდით მესამე მსხვილ ბანკს შექმნის.

ჯგუფმა „სოსიეტე ჟენერალმა“ წინასწარი შეთანხმება დადო ჩინურ სავაჭრო და ინდუსტრიულ ჯგუფ შპს „ხინჯიანგ ჰუალინგთან“ („ჰუალინგ ჯგუფი“) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან საქართველოში ბანკ „რესპუბლიკაში“ აქციების საკონტროლო პაკეტის გაყიდვის შესახებ.

„ჰუალინგ ჯგუფი“ მსხვილი კერძო კონგლომერატია, რომელიც ჩინეთის ხინჯიანგის რეგიონში მდებარეობს. ჯგუფი საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი უცხოელი ინვესტორია და მოღვაწეობს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მშენებლობა, სავაჭრო ცენტრების მართვა და გაქირავება, საბითუმო ბაზრები, უძრავი ქონება, ლოჯისტიკა, სასტუმროების მშენებლობა და მართვა, სასაქონლო მეურნეობა, ხორცის დამუშავება და ა.შ. იგი ასევე ფლობს „ბაზისბანკს“ საქართველოში და ფინანსურ აქტივებს ჩინეთში.

აღნიშნული ტრანზაქცია ხელს შეუწყობს „ჰუალინგ ჯგუფის“ საბანკო ფრთის გაძლიერებას როგორც საქართველოში, ისე ჯგუფის ბიზნეს-პორტფელში. რასაკვირველია, ტრანზაქციის პირობების თანახმად, „ჰუალინგ ჯგუფი“ მოახდენს ბანკ „რესპუბლიკის“ შერწყმას თავის მფლობელობაში მყოფ „ბაზისბანკთან“ და შექმნის უნივერსალურ ბანკს, რომელიც მყარად დაიმკვიდრებს მესამე ადგილს ბაზარზე დაახლოებით 2.5 მილიარდი ლარის მთლიანი აქტივებით, 250 000 კლიენტით, 61 ფილიალით და დაახლოებით 1300 თანამშრომლით.

შერწყმის შემდეგ, ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალს“ ახალგაერთიანებულ საბანკო ინსტიტუტში დაახლოებით 8% წილი ექნება და დარჩება სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. ამ ოპერაციას ჯგუფის კოეფიციენტებზე სულ მცირეოდენი ზეგავლენა ექნება. ევრობანკის წილი, დაახლოებით, 3.9% იქნება, ისიც დარჩება სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და კვლავ იქნება საქართველოს საბანკო ბაზრის ერთგული ფინანსური პარტნიორი.

აღნიშნული ტრანზაქცია გაივლის ბანკ „რესპუბლიკის“ და „ბაზისბანკის“ ფინანსურ შემოწმებას, საბოლოო კონტრაქტზე მოლაპარაკებას და, შესაბამისად, საქართველოს მარეგულირებელი ორგანოების დამტკიცებას, ასევე რეგისტრაციას ჩინეთში.

ბანკების ასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ გვასალია საბანკო სფეროში დიდ შეთანხმებას მიესალმება. მისი თქმით, „ჰუალინგ ჯგუფის“ მიერ ბანკ „რესპუბლიკაში“ „სოსიეტე ჟენერალის“ აქციების საკონტროლო წილის შესყიდვასთან დაკავშირებით შედგა წინასწარი შეთანხმება და არა გარიგება, რადგან როდესაც ამ ტიპის გარიგება იდება და ხდება ორი მსხვილი საბანკო ინსტიტუტის გაერთიანება, იგი, როგორც წესი, მოითხოვს რამდენიმე ეტაპის გავლას.

ბანკ „რესპუბლიკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის რამაზ კუკულაძის განცხადებით, „ბაზისბანკთან“ წინასახელშეკრულებო მდგომარეობის მიუხედავად, მხარეები გეგმების გასაჯაროებისთვის საკმარისად მომზადებული არიან. იგი აღნიშნავს, რომ გარიგება ჯერ დასრულებული არ არის, ე.წ „დიუ დილიჯენსი“ ჯერ არ დაწყებულა.

„გარიგება მომგებიანი იქნება კლიენტებისთვის, რადგან ახალი ჯგუფი იქნება ძალიან სოლიდური, ძლიერი კაპიტალის ბაზით. იქნება უფრო დიდი ბაზრის ყველა სეგმენტში და შეეძლება ჯანსაღი კონკურენციის ხელის შეწყობა. იქნება უფრო დიდი, ანუ შეეძლება უფრო დიდი საქმეების გაძღოლა დიდ კორპორაციულ კლიენტებთან. შეინარჩუნებს ხარისხს და განაგრძობს მის გაუმჯობესებას, რადგან ოპერაციული ეფექტიანობის და კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესების ყველა პროექტი გაგრძელდება და თანამშრომლები შენარჩუნდება. ისარგებლებს „სოსიეტე ჟენერალის“ და EBRD-ის პარტნიორობით, მათ შორის, კორპორაციული მმართველობის თვალსაზრისით. ბანკს ეყოლება ახალი საკონტროლო პაკეტის მფლობელი, რომლის გრძელვადიანი მიზანი ქვეყანაში აშკარაა; შექმნის ზრდის ახალ შესაძლებლობებს, რითაც საბოლოოდ, ბანკის ყველა კლიენტი ისარგებლებს“, — ამბობს კუკულაძე.

„ჰუალინგ ჯგუფმა“ საქართველოში ინვესტირება 2007 წლიდან დაიწყო და 5 მსხვილი საინვესტიციო პროექტი განახორციელა. საინვესტიციო კაპიტალმა 2014 წლის ბოლოსთვის 500 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბექა დანელია

დედამიწის ზურგზე

პრესამ გაიგო ეგვიპტესა და რუსეთს შორის ავიამიმოსვლათა აღდგენის პირობა

ამ კვირის დასაწყისში რუსეთის ტურისტული ოპერატორების ასოციაციის დირექტორმა მაია ლომიძემ განაცხადა, რომ ეგვიპტის აეროპორტებმა გამოთქვეს მზადყოფნა, მიიღონ რუსული ინსპექციები, ეს კი საშუალებას იძლევა, ვიქონიოთ იმედი, რომ უკვე შემოდგომაზე რუსეთის „ტურისტულ რუკაზე“ კვლავ გაჩნდება ეგვიპტე.

ამერიკელებმა ერაყში ტერორისტების დაბომბვის მიზნით სირიელი მეამბოხეები გაღაისროლეს

მეამბოხეები ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის საფარქვეშ უტევდნენ სირიის ქალაქ აბუ-ქემალს. ოპერაციის შუა პერიოდში თვითმფრინავები გაიშალნენ და გაფრინდნენ ელ-ფალუჯის მიმართულებით ერაყში. საიდანაც უდაბნოს გამოვლით გაიჭიმა ტერორისტების დიდი კოლონა ერაყის არმიის გამარჯვების შემდეგ. ამ ავიადარტყმის დროს ისლამური სახელმწიფოს 250 ბოევიკი დაიღუპა, მაგრამ სირიაში მეამბოხეებმა უკან დაიხიეს.

ბაღდადში ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 290 კაცამდე გაიზარდა

დანაღმული ავტომობილი აფეთქდა ქალაქის ცენტრში ელ-კარადის რაიონში, სადაც მრავალი რესტორანი და სავაჭრო მოედანია. ხალხი მიდიოდა გაცხოველებულ კვარტალში, რათა დღესასწაულის წინ შეეძინათ საჭირო საქონელი. კიდევ ერთი აფეთქების ხმა გაისმა 3 ივლისს ბაღდადის შიიტების უმრავლესობის კვარტალში ბაზრის მახლობლად.

აშშ-ში პოლიციელებმა ღახვრიტეს იატაკზე მწოლი შავკანიანი

სროლების სერიის შემდეგ კორპუსში 37 წლის ელტონ სტერლინგი კიდევ მოძრაობდა, მაგრამ გარდაიცვალა სასწრაფოს მოსვლამდე. სტერლინგის ცხოვრების უკანასკნელი წუთები ვიდეოზე რამდენიმე თვითმხილველმა გადაიღო. კადრები სწრაფად გავრცელდა ქსელში.

ღაასახელეს რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომის თარიღი და ღღის წესრიგი

შეხვედრა გაიმართება 13 ივლისს ბრიუსელში — ვარშავაში ნატოს სამიტის დამთავრების შემდეგ მალე. როგორც ვარაუდობენ მონაწილეები ყურადღებას გაამახვილებენ კრიზისზე უკრაინაში, აგრეთვე მინსკის შეთანხმებათა სრული დაცვის აუცილებლობაზე.

აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა უარი განაცხადა კლინტონისთვის ბრალდების წაყენებაზე

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელა ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური პროკურორის ლორეტი ლინჩის ოფიციალური განცხადება: „მე მივიღე და დავთანხმდი რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე გამოკვლევა დაიხურება და არანაირი ბრალდება არ იქნება წაყენებული“.

ირაკლი ყურაშვილი:

საქართველოსა და შვეიცარიას შორის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა

ნოემრის სტუმარია საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში ირაკლი ყურაშვილი

— ჩვენ გვქონდა საშუალება, ზუსტად ერთი წლის წინათ თქვენთან გვესაუბრა. ამ პერიოდში, თქვენის აზრით, რომელი მოვლენა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ქართულ-შვეიცარიულ ურთიერთობებში?

— უწინარესად, დიდ მადლობას მოგახსენებთ ქართულ-შვეიცარიული თანამშრომლობის პროცესისადმი გამოჩენილი ინტერესისათვის. შემიძლია, გითხრათ, რომ ამ 12 თვის მანძილზე საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა.

ჩვენს ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში შევაფასებდი საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ გიორგი კვირიკაშვილის ოფიციალურ ვიზიტს, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ, 27-28 ივნისს შედგა. პრემიერ-მინისტრი ბერნს შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტის იოჰან შნაიდერ-ამანის მოწვევით ეწვია.

რაც შეეხება ვიზიტის თარიღს, 27 ივნისი შემთხვევით არ შეირჩა: ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების ხელმოწერიდან ზუსტად 2 წლის შემდეგ, ბერნში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამრიგად, საქართველოსათვის ევროკავშირის ბაზრის გარდა, გაიხსნება შვეიცარიის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიისა და ისლანდიის ბაზრები.

იმ ფონზე, როდესაც საქართველოსა და შვეიცარიას შორის უკვე გაფორმებულია როგორც ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, ისე ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შეთანხმებები, ახლა კი ამას დაემატა EFTA-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხება, ვფიქრობ, რომ ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობა ყველა მიმართულებით განმტკიცდება. პრემიერ-მინისტრის ვიზიტისას გამართულ შეხვედრებზე არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ ამ სამი შეთანხმების არსებობა უკვე არის შვეიცარიული ინვესტიციების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი.

— პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ ვიზიტს თქვენ აფასებთ როგორც ქართულ-შვეიცარიული ურთიერთობების პროცესის ერთ-ერთ მთავარ მოვლენას ბოლო წლის მანძილზე. მაგრამ რას გვეტყოდით, ზოგადად როგორი იყო ორმხრივი ვიზიტების დინამიკა? გრძელდება თანამშრომლობა ორი ქვეყნის რეგიონებს შორის?

— ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე არაერთი სხვადასხვა ხასითის ვიზიტი შედგა. მე მათგან რამდენიმეს გამოვყოფდი:

2016 წლის მარტში საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ქ. ჟენევაში შეხვდა თავის შვეიცარიელ კოლეგას დიდიე ბურკჰალტერს. ორმხრივი ურთიერთობების, რუსეთთან შვეიცარიის მედიატორულ როლთან დაკავშირებული საკითხების გარდა, სწორედ ამ შეხვედრაზე ორი ქვეყნის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებმა განაცხადეს EFTA-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შესახებ;

2015 წლის დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუა ეწვია ბერნს, მან შეხვედრა გამართა საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის სახელმწიფო მდივანთან ივ როსიესთან, რომელიც შვეიცარიის საგარეო უწყების იერარქიაში მეორე პირია.

საელჩოს, შვეიცარიის კონფედერაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, მდგრადი ეკონომიკური კავშირების დამყარების საუკეთესო შესაძლებლობად საქართველოს რეგიონებსა და შვეიცარიის კანტონებს შორის ურთიერთობების დამყარება მიაჩნია. მაქსიმალურად ვითვალისწინებთ იმ რეალობას, რომ შვეიცარია ევროპასა და მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დეცენტრალიზებული სახელმწიფოა. ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სხვა სფეროებში კონკრეტული გადაწვეტილებების მიმღები არა ფედერალური მთავრობა, არამედ კანტონებია (შვეიცარიის კონფედერაცია 26 კანტონს აერთიანებს). აქედან გამომდინარე, საელჩოს ორგანიზებით, ბოლო 12 თვეში გაიმართა შემდეგი ვიზიტები რეგიონებიდან: ტურგაუს კანტონს ეწვია შიდა ქართლის რეგიონის ოფიციალური დელეგაცია, ქ. თელავის მერი ეწვია ქ. ლოზანას. განსაკუთრებით მინდა, გამოვყო იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის გივი ჭიჭინაძის სამუშაო ვიზიტი ფრიბურგის კანტონში. ამ ვიზიტისას იმერეთის დელეგაცია გაეცნო სოფლის მეურნეობის დარგში ფრიბურგის კანტონის მიღწევებსა და დიდ გამოცდილებას. დელეგაცია ეწვია ფრიბურგის უნივერსიტეტს, რომელიც მთელ შვეიცარიაში ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო დაწესებულება და ერთადერთი ორენოვანი უნივერსიტეტია (ფრანგულ-გერმანული). ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა შესთავაზა თანამშრომლობის პროცესის დაწყება ორ უნივერსიტეტს შორის. ფრიბურგის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დიდი ინტერესით მიიღო შეთავაზება და გამოხატა ფრიბურგის უნივერსიტეტის მზადყოფნა კონკრეტული თანამშრომლობის დასაწყებად. ამ ვიზიტისას ასევე წამოწყებულ იქნა ქუთაისის პირველი საჯარო სკოლის პარტნიორული ურთიერთობები ბერნის გიმნაზია Muristalden-თან.

საქართველოდან რეგიონების დელეგაციების ჩამოსვლის პარალელურად, საელჩოს ორგანიზებით და ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარის ჯემალ შავერდაშვილის მოწვევით, კახეთს ეწვია შაფჰაუზენის კანტონის დელეგაცია. შვეიცარიის მხარემ საქართველოს მხარეს გაუზიარა გამოცდილება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის მიმართულებით.

— როგორ ვითარდება საპარლამენტო თანამშრომლობა?

— როგორც ერთი წლის წინათ თქვენთვის მიცემულ ინტერვიუში აღვნიშნე, საელჩოს ძალისხმევით, 3 წლის წინათ საქმიანობას შეუდგა შვეიცარიის პარლამენტში დაფუძნებული საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას ფედერალური პარლამენტის ზედა პალატის ყოფილი თავმჯდომარე, ძალზე გავლენიანი პოლიტიკოსი, ქრისტიანულ-დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელი ფილიპო ლომბარდი.

რამდენიმე კვირის წინათ განახლდა ჯგუფის შემადგენლობა და სასიამოვნო სიახლეა, რომ მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარე გახდა ფედერალური პარლამენტის მოქმედი პირველი პირი, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე კრისტა მარკვალდერი. მიმდინარე წლის 5-6 სექტემბერს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, თავისი ქართველი კოლეგის დავით უსუფაშვილის მოწვევით, ოფიციალური ვიზიტით ეწვევა საქართველოს. აღნიშნული ვიზიტი კიდევ ერთი შესაძლებლობა იქნება ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებში მიმდინარე პროცესების განსახილველად და ახალი გეგმების შესამუშავებლად.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ექსპორტის გაზრდა და მისი დივერსიფიცირება საქართველოს მთავრობისა და ეკონომიკური დიპლომატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით რა ნაბიჯებს დგამს თქვენი საელჩო?

— საქართველოს რეგიონებსა და შვეიცარიის კანტონებს შორის ჩვენს მიერ ინიცირებული ურთიერთობების ძირითად მიზანს სწორედ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს. შაფჰაუზენის კანტონის კახეთის რეგიონში განხორციელებული ვიზიტის დროს შვეიცარიელი სტუმრები გაეცნენ კახეთში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებს.

ასევე, შიდა ქართლის დელეგაციის ტურგაუს კანტონში ვიზიტის დროს, ქართულმა მხარემ შვეიცარიელი მასპინძლები შიდა ქართლში მიიწვია. საელჩო მუშაობს ამ ვიზიტის განხორციელებაზე და თუკი იგი შედგა, ტურგაუს კანტონის დელეგაციას ექნება საშუალება, ადგილზე ნახოს და შეისწავლოს ვაშლისა და სხვა ხილის წარმოება-გადამუშავების სფეროში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა. ტურგაუს კანტონი შვეიცარიაში მთავარი ხილის მწარმოებელი რეგიონია და, შესაბამისად, ძალიან წააგავს შიდა ქართლის რეგიონს.

შვეიცარიულ ბაზარზე ადგილობრივი ღვინით მხოლოდ მოთხოვნილების 60% იფარება. დანარჩენი 40%-ის იმპორტი ხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ღვინის მწარმოებელი ქვეყნიდან. მიგვაჩნია, რომ ეს მიმართულება ძალიან პერსპექტიულია და საელჩო ძალიან ინტენსიურად მუშაობს აღნიშნული მიმართულებით.

2015 წლის ბოლოს, საელჩოს ორგანიზებით, კომპანია DIVO-მ ქართული ღვინის ე.წ. ბრმა დეგუსტაცია გამართა. წარმოდგენილი იყო რამდენიმე ქართული მწარმოებლის 30 დასახელების ღვინო, რომელთაგან ბევრმა დიდი მოწონება დაიმსახურა. შესაბამისად, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბრის პირველ ნახევარში საქართველოში ჩამოვა კომპანია DIVO-ს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან როგორც მევენახეები, ასევე სომელიეები და ჟურნალისტები. კომპანია DIVO ფიქრობს შვეიცარიაში ქართული ღვინის იმპორტის დაწყებას და ასევე, აპირებს ქართული ღვინის დეგუსტაციების მოწყობას მისი კლიენტებისთვის შვეიცარიის 10 ქალაქში.

ასევე საელჩოს ორგანიზებით, საქართველოში უკვე იმყოფებოდა კომპანია DIVO-სა და IOLG Weinkellereien-ის დელეგაცია, რომელიც როგორც ღვინის იმპორტზე, ასევე ღვინის ტურიზმზეა ორიენტირებული. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ვიზიტის შემდეგ, უკვე 2017 წლიდან საქართველოში დაიწყება აღნიშნული კომპანიის მხრიდან ღვინისა და კულტურის ტურების განხორციელება.

ყოველდღიურად იზრდება ინტერესი საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის მიმართ. ამას საელჩო გრძნობს მრავალი ინდიკატორით და დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ფაქტი აუცილებლად აისახება საქართველოში შვეიცარიელი ტურისტების რიცხვზე.

შვეიცარიის კონფედერაცია, მოგეხსენებათ, შოკოლადის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწარმოებელია. შესაბამისად, შესაძლებელია შოკოლადის დამზადებისთვის აუცილებელი ერთ-ერთი კომპონენტის, თხილის პირდაპირი ექსპორტის გაზრდა საქართველოდან. საელჩო ინტენსიურად მუშაობს ამ მიმართულებით და იმედი გვაქვს, რომ უკვე მომავალი წლისთვის უკეთესი მაჩვენებლები გვექნება.

— თქვენი საელჩო ასევე აკრედიტებულია ლიხტენშტეინის სამთავროში, რას გვეტყვით ევროპის ამ პატარა და ძალიან მდიდარ ქვეყანასთან ურთიერთობების შესახებ?

— ძალიან მოხარული ვარ, რომ სულ რამდენიმე კვირის წინათ, 22 ივნისს, ლიხტენშტეინს ოფიციალური ვიზიტით ეწვია საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, რომელიც შეხვდა თავის კოლეგას აურელია ფრიკს და სამთავროს მმართველ პრინცს ალოისს. ეს ვიზიტი გაზვიადების გარეშე ისტორიულია, რადგანაც წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის არსებული 24-წლიანი ურთიერთობების ისტორიაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის და, ზოგადად, საქართველოს ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლის პირველ ვიზიტს ლიხტენშტეინის სამთავროში. პოლიტიკურ დონეზე საქართველოსა და ლიხტენშტეინს შორის ნამდვილად ძალიან კარგი ურთიერთობებია ჩამოყალიბებული. ლიხტენშტეინი უკვე რამდენიმე წელია, სისტემატურად მხარს უჭერს გაეროს რეზოლუციას საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან — აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ. მაგრამ ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის სფეროებში არსებობს დიდი გამოუყენებელი პოტენციალი.

ესაუბრა
მარიამ ჩუბინიძე

მოთხოვნა ინტერესის გამოხატვაზე – ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტი – P147348

7 ივლისი, 2016

ქვეყანა: საქართველო

პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: P147348
პროექტის სახელწოდება: ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტი
ინფორმაცია სესხის თაობაზე: IBRD 83770

ზოგადი ინფორმაცია	
განაცხადის ტიპი	მოთხოვნა ინტერესის გამოხატვაზე
მსესხებლის სატენდერო საიდენტიფიკაციო ნომერი	IDA/TGSP/CS/CQS/02-2016
ტენდერის აღწერა	500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ და დაკავშირებული 500კვ ქვესადგურის „წყალტუბო“ მშენებლობისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და მიწის გამოსყიდვისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა
განაცხადის ენა	ინგლისური
სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	29 ივლისი, 2016
ადგილობრივი დროით	17:00
შესასყიდი პროდუქციის შერჩეული კოდი კატეგორიების მიხედვით	
საკონტაქტო ინფორმაცია განცხადებასთან დაკავშირებით	
ორგანიზაცია/დეპარტამენტი	სსს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
საკონტაქტო პირი	მაია ფიცხელაური
თანამდებობა	საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი
მისამართი	საქართველო, თბილისი 0105, ზარათაშვილის ქ. №2
ქალაქი	თბილისი
პროვინცია /შტატი	
საფოსტო კოდი	0105
ქვეყანა	საქართველო
ტელეფონი	+995 322 510 263
ფაქსი	+995 322 510 202
ელ. ფოსტა	maya.pitskhelauri@gse.com.ge
ვებ-გვერდი	www.gse.com.ge

დეტალური ინფორმაცია განცხადებასთან დაკავშირებით:

ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტი პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: P147348

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან (WB) მიიღო სესხი "ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტის" დასაფინანსებლად. სესხის ნაწილი მოხმარდება 500კვ ელექტროგადამცემი ხაზისთვის „ჯვარი-წყალტუბო“ და დაკავშირებული 500კვ წყალტუბოს ქვესადგურის მშენებლობისთვის
გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და მიწის გამოსყიდვისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტით გათვალისწინებულ გადახდებს.

სსს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს („კონსულტანტებს“) ინტერესის გამოხატვის შესახებ წინადადების წარსადგენად, 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ და დაკავშირებული 500კვ წყალტუბოს ქვესადგურის მშენებლობის მშენებლობისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და მიწის გამოსყიდვისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მომზადების მიზნით.

ზემოთხსენებული ელექტროგადამცემი ხაზი, სხვა სახსრებით დაფინანსებული 500კვ „წყალტუბო-ახალციხე“ ელექტროგადამცემ ხაზთან ერთად, ემსახურება შემდეგ სამ ძირითად მიზანს:

– საქართველოს ენერგოსისტემის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაზრდა; შეფერხებების, გათიშვების, საავარიო გამორთვების რაოდენობისა და მიუწოდებელი ელექტროენერგიის შემცირება;

– დაახლოებით 1,150 მგვტ ელექტროენერგიის ევაკუაცია ხუდონის, ნენსკრას და მესტიის ჰიდროელექტროსადგურებიდან, აგრეთვე დამატებითი 850 მგვტ ელექტროენერგიის ევაკუაცია ცხენისწყლისა და ნამახვანის კასკადების ჰიდროელექტრო სადგურებიდან და ალპანას ჰიდროელექტრო სადგურიდან;

– საქართველოს შიდა ქსელის გამტარუნარიანობის გაზრდა 1,000-1,200 მგვტ-ით.

500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ მშენებლობა კვალიფიცირდება, როგორც A კატეგორიის პროექტი, შესაბამისად, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი დოკუმენტებით: OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება (OP/BP 4.01 Environmental Assessment), 4.04 ბუნებრივი ჰაბიტატები (4.04 Natural Habitats), 4.11 კულტურული რესურსები (4.11 Physical Cultural Resources), 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება (4.12 Involuntary Resettlement), და 4.20 გენდერული საკითხები (4.20 Gender and Development) (იხილეთ www.worldbank.org), გარადა ამისა, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, რომლებიც განსაზღვრულია შემდეგი კანონებით: *„საქართველოს კანონი გ“ (2007), „საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (2007), „საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2005)* და სხვა დოკუმენტებით.

ახალი 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ პროექტისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის რეცეპტორების იდენტიფიცირება 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ კორიდორის ფარგლებში; გარემოსდაცვითი და სოციალური გარემოსა და კულტურული აქტივებისთვის იმ რისკების გამოვლენა, რომლებიც დაკავშირებული იქნება აღნიშნულ კორიდორში დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან, ასევე გამოვლენილი რისკების ხასიათისა და მასშტაბის აღწერა;
- სსე-ს მიერ დაქირავებულ პროექტის გუნდთან თანამშრომლობა აღნიშნული ხაზის ზუსტი მიმართულების განსაზღვრის პროცესში, რათა ხაზის ოპტიმალური მარშრუტის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნას გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები და აცილებულ იქნას შესაბამისი რისკები და ზემოქმედება;
- დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მომზადება, რომლებიც მიმართულ იქნება მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებისა და რისკების თავიდან აცილებისკენ ან შემცირებისკენ, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ, სოციალურ (კერძოდ, ეკონომიკურ ან/და ფიზიკურ ადგილმონაცვლეობასთან) და კულტურულ გარემოსთან; აგრეთვე გარემოსდაცვითი მართვის მატრიცის შემუშავება, შემარბილებელი და მონიტორინგის გეგმების ჩათვლით;
- გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება, გარემოსდაცვითი მართვის მატრიცის ჩათვლით, რომლებიც მისაღები იქნება სსე-სთვის და მსოფლიო ბანკისთვის;
- მიწის გამოსყიდვისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მომზადება, სამშენებლო დერეფნის შესაბამისი განსახლების სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის სახელმძღვანელოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული ხაზის საბოლოო მიმართულება გახდება ცნობილი;
- საჭიროებისამებრ, სსე-ს მხარდაჭერა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამუშაო ვარიანტის მომზადების პროცესში, საჯარო კონსულტაციების ჩატარების მიზნით; ასევე მხარდაჭერა საქართველოს გსგან გარემოსდაცვითი ნებართვის აღების პროცესში.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა ექვსი (6) თვე, დაწყების თარიღი - 2016 წლის სექტემბერი.

სსე იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს („კონსულტანტები“) „მომსახურების“ გაწევაზე ინტერესის გამოსახატად. კონსულტანტებს, რომლებიც შეასრულებენ მოცემულ დავალებას, მოეთხოვებათ, საჭიროებისამებრ გაწიონ მრავალ-ფუნქციური ექსპერტების გუნდის მომსახურება.

დაინტერესებულმა "კონსულტანტებმა" უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება "მომსახურების" გასაწევად. მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- კონსულტანტს უნდა გააჩნდეს ელექტროენერგიის მიწოდების, მათ შორის, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების პროექტებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებების მომზადების მართვაში დადასტურებული გამოცდილება და ჰყავდეს კვალიფიციური პერსონალი. კონსულტანტს ასევე უნდა გააჩნდეს საკმარისი გამოცდილება გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებების მომზადებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან მიმართებაში. კონსულტანტის ძირითად პერსონალს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება ელექტროგამდამცემი ხაზებისა და ქვესადგურების პროექტებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებების მომზადებაში. აქედან, მინიმუმ ერთი უნდა წარმოადგენდეს მაღალი ძაბვის (110 კვ ზემოთ), მინიმუმ 80 კმ სიგრძის გადამცემი ხაზის პროექტს. წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი პერსონალი, რომელიც შეძლებს აღნიშნული დავალების შესრულებას; დაუშვებელია ცვლილებები გუნდში პროექტის განხორციელების პერიოდში;

- კონსულტანტს უნდა გააჩნდეს სათანადო გამოცდილება მსოფლიო ბანკის ანჰდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოში დაფინანსებული პროექტებისთვის დოკუმენტაციის მომზადებაში, მათი (განსაკუთრებით, IFC-ის, EBRD-ის და ADB-ის) გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვით;

- ბოლო 5 წლის განმავლობაში (ე.ი. 2011 წლის იანვრის შემდეგ) მსგავსი საკონსულტაციო კონტრაქტების შესრულების გამოცდილება. შეფასება განხორციელდება შესაბამისი საკონსულტაციო კონტრაქტების ღირებულებისა და რაოდენობის კომბინაციის მიხედვით.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის *ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება ხრეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში)“* (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები", 2014 წლის ივლისის შესწორებული გამოცემა) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს, კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით, შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე). ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს.

დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას ფორმა №1-ის სახით, რომელიც ატვირთულია სსე-ს ვებ–გვერდზე და თან ერთვის ინტერესის გამოხატვაზე აღნიშნულ მოწვევას (www.gse.com.ge).

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება „კონსულტანტის კვალიფიკაციაზე“ დაყრდნობით (CQS მეთოდი), რომელიც მოცემულია *მსოფლიო ბანკის მსესხებლებისთვის გაცემული IBRD-ის სესხებითა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში კონსულტატების შერჩევის და დაქირავების (იანვარი 2011 წელი, შესწორების თარიღი 2014 წლის ივლისი) შესახებ მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო ინსტრუქციების* III ნაწილში.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ მისამართზე, სამუშაო საათებში – 10:00-დან 18:00 სთ-მდე, სსე-ს საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტში, შემდეგ ტელეფონის ნომერზე: (995 322 510 263, საკონტაქტო პირები: ქ-ნი მაია ფიცხელაური, საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი, ელ.ფოსტა: maya.pitskhelauri@gse.com.ge; avtandil.tskhvitava@gse.com.ge

ინტერესთა გამოხატვის შესახებ წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ქვემოთ მოცემულ მისამართზე (პირადად, ფოსტით, ფაქსით, ან ელ-ფოსტით, არა უგვიანეს ინტერესის გამოხატვის დოკუმენტის მიღების ბოლო ვადისა) 2016 წლის 29 ივლისისა 17:00 სთ–მდე.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ქ-ნ მაია ფიცხელაურს, საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №2

ტელ: .: +995 322 510 263

ფაქსი:+995 32 2 510 101

ელ.ფოსტა: maya.pitskhelauri@gse.com.ge; avtandil.tskhvitava@gse.com.ge.

Request for Expression of Interest – Transmission Grid Strengthening Project (TGSP) – P147348

Country: Georgia
Project Id: P147348
Project Name: Transmission Grid Strengthening Project
Loan Info.: IBRD 83770

General Information	
Notice Type	Request for Expression of Interest
Borrower Bid Reference	IDA/TGSP/CS/CQS/02-2016
Bid Description	Consulting Services for Environmental and Social Impact Assessment and Preparation of Land Acquisition and Resettlement Policy Framework for Construction of 500kV Jvari-Tskaltubo Overhead Transmission Line and Associated Substation
Language of Notice	English
Deadline for Application Submission Date	29 July 2016
Local Time	17 : 00
Selected category codes for product to be procured	
Contact Information on Advertisement	
Organization/Department	Georgian State Electrosystem JSC
Name	Mrs. Maya Pitskhelauri
Title	Head of International Projects & Reporting Department
Address	2, Baratashvili Street
City	Tbilisi
Province/State	Georgia
Postal Code	0105
Country	Georgia
Phone	+995322510263
Fax	+995322510202
Email	maya.pitskhelauri@gse.com.ge
Website	www.gse.com.ge

TRANSMISSION GRID STRENGTHENING PROJECT; Project ID P147348

Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Transmission Grid Strengthening Project, and intends to apply part of the proceeds for consulting services.

Georgian State Electrosystem JSC (GSE) is now seeking expressions of interest from potential providers of consulting services to conduct Environmental and Social Impact Assessment and Preparation of Land Acquisition and Resettlement Policy Framework for Construction of a new 500kV Jvari-Tskaltubo Overhead Transmission Line (about 100km) and Associated 500kV Substation in Tskaltubo (hereinafter "JTOTL Project").

Together with 500kV Tsaktubo-Akhaltsikhe Transmission line being constructed with other financing, the JTOTL Project serves three main purposes:

- Increasing of stability and security of supply of overall Georgian System, for both existing and future situations, eliminate of bottlenecks, blackouts, number of emergency outages and energy not supplied;
- Evacuation of about 1150 MW from Khudoni, Nenskra and Mestia region HPPs, as well as additional 850 MW from Tskhenistskali Cascade, Namakhvani Cascade HPPs and Alpana HPP;
- Increasing transfer capacity of internal Georgian network by 1000-1200 MW.

The JTOTL Project qualifies as Category A and, therefore, a detailed environmental and social impact assessment shall be conducted as per the requirements of the World Bank's environmental and social safeguards, including but not limited to OP/BP 4.01 Environmental Assessment, 4.04 Natural Habitats, 4.11 Physical Cultural Resources, 4.12 Involuntary Resettlement, and 4.20 Gender and Development (w), as well as the requirements of the Georgian environmental legislation as provided under the laws *On Environmental Impact Permit (2007), Ecological Expertise (2007)*, *On Licenses and Permits (2005)* and others.

The major objectives of the Environmental and Social Impact Assessment for a new 500kV JTOTL Project are to:

- Identify sensitive environmental, social, and cultural heritage receptors within the corridor of a new 500kV Jvari-Tskaltubo Overhead Transmission Line, point out risks to the natural and social environment and to the cultural assets associated with the anticipated construction works in this corridor, and describe their nature and scope;
- Cooperate with the team of designers hired by the Client in the process of defining exact alignment of the highway with the purpose of integrating environmental, social, and cultural heritage perspectives into the selection of the optimal route to avoid risk and impacts;
- Provide a set of detailed mitigation measures aimed at avoiding or decreasing expected negative impacts and risks of construction on the natural, social (particularly related to economic and/or physical displacement of population), and cultural environment, and develop an environmental management matrix including mitigation and monitoring plans;
- Produce an ESIA report, including an environmental management matrix, satisfactory to the Client and the World Bank;
- Prepare a Land Acquisitions and Resettlement Policy Framework to guide the development of site-specific resettlement action plans once the final alignment is known.
- Assist the Client, as requested, during public consultations on the draft ESIA report and through the process of obtaining an environmental permit from the Ministry of Environment and Natural Resources Protection (MoENRP).

The tentative duration of the assignment is six 6 months, commencing from September, 2016.

GSE now invites eligible consulting firms ("Consultants") to express their interest in providing the Services. The consultants engaged for this assignment are expected to provide the services of a multi-disciplinary team of experts as appropriate.

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

- The Consultant must demonstrate management and staff expertise in preparing impact assessments for power delivery projects, including extremely high voltage transmission lines and substations. The Consultant also must demonstrate experience with the applicable requirements sufficient to complete the ESIA. Key staff of the consultant shall have the experience of at least 10 years in the field of environmental and social assessment of the power line and substation projects. At least one project of high voltage transmission line (above 110kV) with the length of minimum 80 km. Only key personnel shall be shown who are available for this assignment and no changes in the team would be accepted during implementation.
- The Consultant must have relevant experience in preparation of the relevant papers for the projects funded by the World Bank and/or other IFIs and in Georgia, following their environmental and social standards (particularly IFC, EBRD and ADB).
- Similar consultancy contracts completed in the last 5 years (i.e. since January 2011). Rating shall be made on a combination of the value and the number of the relevant consultancy contracts.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers - January 2011*, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the Client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.*

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)* to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company.

Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at the website of the GSE as attachment to this Request for Expression of Interest. (www.gse.com.ge).

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected based on the Consultants Qualifications (CQS) method set out in Section III of the *Guidelines: Selection and Employment of Consultants under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers - January 2011, revised July 2014.*

Further information can be obtained at the address below during office hours from 10:00 to 18:00 at International Projects and Reporting Department of GSE, Phone number: +995 322 510 263, Mrs. Maya Pitskhelauri, Head of International Projects & Reporting Department, email: maya.pitskhelauri@gse.com.ge; avtandil.tskhvitava@gse.com.ge

Expressions of Interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail not later than the submission deadline) by 29 July, 2016, 17:00.

Georgian State Electrosystem JSC
Attn: Mrs. Maya Pitskhelauri,
Head of International Projects & Reporting Department
2, Baratashvili St., 0105 Tbilisi, Georgia
Tel.: +995 322 510 263 Fax: +995 32 2 510 101;
E-mail: maya.pitskhelauri@gse.com.ge; avtandil.tskhvitava@gse.com.ge

◎ ევრო – 2016

რონალდუმ რამდენიმე რეკორდი დაამყარა

კრიშტიანუ რონალდუმ **უელსთან (2:0) მოგებულ პირველ ნახევარფინალურ მატჩში ევროპის ჩემპიონატების რამდენიმე რეკორდი დაამყარა. კერძოდ, მან ფინალურ ეტაპზე მეცხრე გოლის გატანა შეძლო და ამ მხრივ ლეგენდარულ ფრანგ მიშელ პლატინის გაუთანაბრდა.** ახლა პორტუგალიელ ვარსკვლავს ერთი გოლის გატანა სჭირდება, რომ ყველა დროის საუკეთესო გოლეადორი გახდეს. რონალდუმ ხსენებული 9 ბურთის შეგდება 2004, 2008, 2012 და 2016 წლებში მოახერხა.გარდა ამისა, კრიშტიანუ პირველი ფეხბურთელია, რომელმაც მინიმუმ სამი გოლის გატანა ორ სხვადასხვა ჩემპიონატზე შეძლო. რონალდუმ ამის გაკეთება 2012 და 2016 წლებში მოახერხა. და კიდევ ერთი – 31 წლის ფეხბურთელი პირველია, ვისაც ევროპის ჩემპიონატის სამ ნახევარფინალურ მატჩში მიუღია მონაწილეობა (2004, 2012 და 2016). აღსანიშნავია, რომ ამ სამი მატჩიდან „რეალის“ შემტევმა გოლის გატანა ორში მოახერხა.სხვათა შორის, რონალდუს გარდა მიღწევით მისი ნაკრებიც გამოირჩა. კერძოდ, 1980 წლიდან დღემდე პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე თავით მე-15 გოლის გატანა მოახერხა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ამ კომპონენტში.პორტუგალიის ნაკრები ფინალურ მატჩს 10 ივლისს გამართავს.

დავძენთ, რომ უელსელებს დისკვალიფიკაციის გამო რემზი და დევისი აკლდნენ, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

კოგა კოგახიძე

◎ თაოგა

გაისად საქართველო საფრანგეთს ჯგუფურ ეტაპზე შეხვდება

საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრებს გაისად თანატოლთა „მუნდიალის“ ჯგუფურ ეტაპზე არგენტინის, სამხრეთ აფრიკისა და საფრანგეთის წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

„უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად წელს ითამაშეს და სადებიუტო შეხვედრის გარდა, სადაც ახალმა ზელანდიამ 55:0 იმარჯვა, ყველა მატჩში ბოლომდე იბრძოლეს. ჯგუფურ ეტაპზე მსაჯის „უყურადღებობას“ უელსთან 9:10 მარცხი და პირველი პრემიალური ქულის აღება მოჰყვა, ირლანდიასთან 72 წუთი კაცნაკლულად ბრძოლის შედეგი კი 7:35-ია. მეტოქემ მხოლოდ გაწითლებულ დროზე შეძლო მეოთხე, პრემიალური ლელოს დადება.

ამას მოჰყვა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება პლეი-ოფის ნახევარფინალში იტალიასთან. საქართველოს ნაკრები სრულად აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას, მეტოქეს სამი ლელო დაუდო და თავად ბოლო წუთზე მეორე მიიღო, მაგრამ ეს აღარაფერს ცვლიდა – 18:17. IX ადგილისთვის დაძაბული ბრძოლა შედგა საფრანგეთთან. გუნდებმა სამ-სამი ლელო დადეს, თუმცა, მეტოქემ ერთით მეტი ჯარიმა გაიტანა და 24:27. საფრანგეთი ერთ-ერთია, ვისთანაც გაისად ჯგუფურ ეტაპზე მოგვიწევს თამაში. მომავალმა მეტოქეებმა წელს ინგლისში ორჯერ ითამაშეს და არგენტინამ ჯგუფურ ეტაპზე სამხრეთ აფრიკას 19:13 მოუგო, ხოლო მე-3 ადგილისთვის მატჩში 49:19 დაამარცხა.

საქართველო **C ჯგუფში** ითამაშებს, ხოლო **A ჯგუფში** მოქმედი ჩემპიონის ინგლისის მეტოქეები ავსტრალია და უელსი, ასევე 12-გუნდა ელიტაში წელს დაბრუნებული სამოა იქნებიან. **B ჯგუფში** ფინალისტი ირლანდია ახალ ზელანდიას, შოტლანდიას და იტალიას შეხვდება.

მატჩების განრიგი და თამაშების ზუსტი ვადები ჯერჯერობით უცნობია. როგორც მოგეხსენებათ, ტურნირი 2017 წლის ივნისში თბილისსა და ქუთაისში გაიმართება – დედაქალაქი ორს, ხოლო იმერეთი ერთ ჯგუფს უმასპინძლებს.

ბადრი იაშვილი

◎ სეზონის წინ

„საბურთალომ“ ახალწვეულები წარადგინა

საფეხბურთო კლუბმა „საბურთალომ“, რომელმაც ახალი სეზონისთვის მზადება ორი კვირის წინათ განაახლა, გუშინ „ბენდელას“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მასმედიის წარმომადგენლებს ახალწვეულები წარუდგინა.

კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა კახა კაშიამ, სპორტულმა დირექტორმა მანოლო იერომ და მთავარმა მწვრთნელმა პაბლო ფრანკო მარტინიმ ის ფეხბურთელები გააცნეს საზოგადოებას, რომლებიც მომავალში კლუბის ღირსებას დაიცავენ – თედორე გრიგალაშვილს, გიორგი ბუხაიძესა და ხუან მანუელ კარასკო კორეას მუდმივნომრიანი მაისურები საზეიმო ვითარებაში გადაეცათ. ესპანელი ფეხბურთელი, რომელიც ქართულ კლუბში ერთი წლით ითამაშებს, 3-ნომრიანი მაისურით გაირჯება; ბუხაიძე, რომელმაც სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, 40-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს, ხოლო გრიგალაშვილს, ვინც თბილისურ კლუბში დეკემბრამდე ჩაირიცხა, 6-ნომრიანი მაისური ერგო.

კახა კაშია („საბურთალოს“ აღმასრულებელი დირექტორი):

„საბურთალომ“ ახალი სეზონისთვის მზადება ივნისის ბოლოს დაიწყო, რამდენიმე დღეში კი გუნდი ბულგარეთში შეკრებაზე გაემგზავრება. წინ ძალიან საინტერესო და რთული ჩემპიონატი გველის. გვინდა, რომ წარმატებით ვიასპარეზოთ. დავიმატეთ რამდენიმე ფეხბურთელი, თუმცა, ამით არ დამთავრებულა ტრანსფერებზე ფიქრი – არ არის გამორიცხული, შეკრებაზე კიდევ შემოგვიერთდნენ ახალწვეულები.რაც შეეხება საკითხს, თუ სად ვუმასპინძლებთ მეტოქეებს ჩემპიონატში, ფაქტობრივად გადწყვეტილია, რომ საშინაო შეხვედრებს „მიხეილ მესხის“ მთავარ არენაზე გავმართავთ“.

მანოლო იერო („საბურთალოს“ სპორტული დირექტორი):

„მომავალი ჩემპიონატისთვის სერიოზულად ვემზადებით. ძალიან დაძაბული პირველობა იქნება, რადგან როგორც ქვედა, ასევე ზედა პოზიციებზე უშელავათო ბრძოლებია მოსალოდნელი. ჩვენი კლუბი ძალიან ახალგაზრდულია, აქედან გამომდინარე რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის დამატება გადავწყვიტეთ. ვფიქრობთ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ გრიგალაშვილის, ბუხაიძისა და კარასკოს შეძენით“.

თედორე გრიგალაშვილი („საბურთალოს“ ახალწვეული):

„უკვე რამდენიმე დღეა, ახალ კლუბში ვირიცხები, რითაც კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ვეცდები, ჩემი ცოდნა და გამოცდილება „საბურთალოს“ მოვახმარო და მოკრძალებული წვლილი შევიტანი გუნდის წარმატებაში. ძალიან საინტერესო, შეკრული და მეგობრული კლუბია“.

გიორგი ბუხაიძე („საბურთალოს“ ახალწვეული):

„ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი, ჩემი მომავალი „საბურთალოს“ რომ დავუკავშირე. ადვილად შევეწყვე გუნდს – როგორც ფეხბურთელებს, ასევე სამწვრთნელო შტაბს. კარგი გარემოა, ჩანს, რომ „საბურთალოში“ პროფესიონალები მუშაობენ“.

ხოსე მანუელ კარასკო კორეა („საბურთალოს“ ახალწვეული):

„საქართველოში პირველად ვიმყოფები და შთაბეჭდილებები დადებითია. ნელ-ნელა ვეჩვევი ქართულ გარემოს, ახალ კლუბს. ბიჭები გვერდში მიდგანან, რაც ძალიან სასიამოვნოა. „საბურთალო“ ახალგაზრდული გუნდია, თუმცა, საკმაოდ წარმატებული. მართალია, ამხანაგური მატჩი იყო, მაგრამ სადებიუტო შეხვედრის ჩატარებაც მოვასწარი. სასიამოვნოა, რომ ყველაფერი კარგად დაიწყო. მჯერა, ასევე გაგრძელდება“.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი



უეიდი „ჩიკაგოში“ ითამაშებს

34 წლის დუეინ უეიდი მალე „ჩიკაგო ბულზში“ გადავა. აღნიშნულ ინფორმაციას Yahoo ავრცელებს. წყაროს ცნობით, უეიდი და „ხარები“ კონტრაქტზე უკვე შეთანხმდნენ. ნბას სამგზის ჩემპიონი 2-წლიან კონტრაქტში 47.5 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

უეიდი „მაიამის“ ღირსებას 2003 წლიდან იცავდა და მას აქამდე სხვა კლუბში არ უთამაშია.

განვლილ სეზონში 34 წლის ვარსკვლავი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 19 ქულას, 4.1 მოხსნას და 4.6 პასს აკეთებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კოლუმბიელი „ლიონელ მესი“

უვიცობაცაა და უვიცობაც, მაგრამ ნამდვილად სამარცხვინოა სპორტულმა ჟურნალისტმა, სხვა თუ არაფერი, ფეხბურთის მსოფლიო ვარსკვლავ ლიონელ მესის წარმომავლობა და სადაურობა არ იცოდე.

ასე დაემართა კოლუმბიელ სპორტულ ჟურნალისტს ალეხანდრა ბუიტრაგოს. როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ ვინ მიაჩნდა საუკეთესო კოლუმბიელ ფეხბურთელად, მან ლიონელ მესი დაასახელა.

შეიძლება კოლუმბიელი ფეხბურთის გულშემატკივრები გულის-გულში კიდეც ოცნებობენ – ნეტავ ლეო ჩვენი თანამემამულე იყოსო, მაგრამ არგენტინელი მესი თავისი ქვეყნით ამაყობს და, ცხადია, უკვე დღეს კოლუმბიელი ბუიტრაგო ნანობს, როგორი სისულელე წამოროშა და ყველას სთხოვს დაივიწყონ მისი ნათქვამი.

როსტომ რაჭველიშვილი

ტურიზმის აღმავლობა საქართველოში

მიმდინარე წლის ბოლო ექვსი თვის მონაცემებით, საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტი უკრაინიდან ჩამოვიდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვიზიტიორთა საერთო რაოდენობის 26,3 % სწორედ უკრაინიდან დაფიქსირდა. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი -18.1 %, რომელსაც მოსდევს რუსეთი – 15.6 %,-ით. ხუთეულში ბოლო პოზიციებს იკავებენ თურქეთი – 4 %,-ით, და სომხეთი – 1.4 %-ით.

როგორც ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლის რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარ-ივნისში გამოირჩნენ ლატვია +29%, იტალია +20% და საფრანგეთი +12%.

თუმცა განსაკუთრებული ზრდა სწორედ იმ ქვეყნებიდან აღინიშნა, საიდანაც სულ ცოტა ხნის წინ ტურისტების შემოსვლას, პირველ რიგში, სახელმწიფოს მიერ შემოღებული სავიზო რეგულაციები უშლიდა ხელს. მაღალი ზრდის მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: ირანი (+400 %), ინდოეთი (+340 %), ფილიპინები (+208 %), ისრაელი (+95 %), ჩინეთი (+57 %), უზბეკეთი (+31 %).

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ 6 თვეში 2 მილიონ 636 313 შეადგინა. ზრდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 12,9 %-ია.

რაც შეეხება ფინანსურ შემოსავლებს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, 2015 წლის ჯამური მონაცემებით, შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 1.94 მილიარდ აშშ დოლარს (ზრდა +8.3), რაც 149 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ნინო ევგენიძე

ირაკლი ქავთარაძე, გურამ გოგიაშვილი და მიხეილ ჩაჩანიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი, გულითადი მეგობარი, ჩინებული ქართველი ვაჟკაცი, თავისი საქმის უებრო პროფესიონალი

მავრი სერგის ძე ზალდასტანიშვილი

(დედით ჯავახიშვილი)

და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 7, 8 VII, გამოსვენება 9 VII, 15 სთ. მის. ვაჟა-ფშაველას 12. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

ნუნუ, ომარ ცაავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი სიყრმის მეგობარი

მავრი ზალდასტანიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესურსების ტერიტორიული გადანაწილების, წყალთა მეურნეობის და მელიორაციული მშენებლობის საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი „საქწყალპროექტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მშენებლობის ღვაწლმოსილი მუშაკის, შესანიშნავი მეგობრის და მეოჯახის, დიდებული პიროვნების

მავრი ზალდასტანიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღირსეული მამულიშვილის, ბრწყინვალე მეოჯახის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის

მავრი ზალდასტანიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეგობრები

ცვლილება განცხადებაში

ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ 2016 წლის 9 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში „განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ“, რომელიც ეხებოდა სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) ფარგლებში გამოცხადებულ შემდეგ ტენდერს:

გორის მუნიციპალიტეტში არსებული „ძევერა-შერთულის“ სარწყავი სისტემის და „გარდიგარდმო“ არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია, ლოტი III-ა კონტრაქტით # AMMAR/CW/2016/01

გადაიწია საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა ერთი კვირით. ამასთან დაკავშირებით განცხადების მე-4 პუნქტი იცვლება შემდეგი რედაქციით:

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე **სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით.** საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 18 ივლისის 12:00 საათისა,** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

განცხადების ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე: **http://moa.gov.ge/Ge/Tenders/5**

განცხადებაში მითითებული დანარჩენი მონაცემები უცვლელი რჩება.

აკი ორსართულიანი მატარებელი გვირაბში ვერ გაეტევაო?!

საქართველოს **რკინიგზის მიერ წელს შეძენილი Stadler Kiss-ის ორსართულიანი მატარებლები საქართველოში შემოვიდა. „საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, მატარებლებს ბოლო, მოსამზადებელი სამუშაოები ჩაუტარდებათ და მათი პრეზენტაციაც უახლოეს დღეებში გაიმართება.**

საქართველოს რკინიგზამ შტადლერს 4 ახალი, ორსართულიანი მატარებელი 2016 წლის გაზაფხულზე შეუკვეთა, რაშიც 40 მილიონი ევრო გადაიხადა. მატარებლები თბილისი-ბათუმის რეისზე იმოძრავებენ.

რკინიგზის ინფორმაციით, ახალი მატარებლები მთლიანად ადგილობრივ სისტემაზეა მორგებული.

◎ ჩვენი კარაბადინი

დაღლილი თვალების ვარჯიში

რეგულარულად ვარჯიშობთ? ძალიან კარგი, ოღონდ ტანის კუნთების გამაგრებისას ნურც თვალების კუნთების გაძლიერებას დაივიწყებთ. მაშინ კი ღრმა მოხუცებულობამდე სამყაროს მკაფიოდ დანახვას შეძლებთ.

ამიტომაც ვარჯიშების კომპლექსს გთავაზობთ, რომლის შესრულებაც, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც დიდ დროს კომპიუტერთან, ტელევიზორთან, ზოგადად სხვადასხვა გაჯეტთან ატარებს, დიდად სასარგებლო იქნება. მეტიც: მედიკოსები ამ ვარჯიშთა ერთგვარი კომპლექსის დღეში ორჯერ გაკეთებასაც გვირჩევენ.

თვალთვალი

ერთი წუთი ფანქარი გაჭიმულ ხელში დაიკავეთ და მარჯვნივ-მარცხნივ, ზევით-ქვევით ამოძრავეთ, თან მზერა არ მოაცილოთ.

„სირბილი“ კუთხიდან კუთხეში

ფეხზე დამდგარმა დიაგონალური მიმართულებით მზერა ოთახის სხვადასხვა კუთხიდან მონაცვლეობით გადაიტანეთ: მარჯვენა მხრიდან ზევით-ქვევით და პირიქით. ვარჯიში ორი წუთის განმავლობაში შეასრულეთ.

ხატვა



სხვადასხვა სურათის დახატვა მარტო თვალების მოძრაობით სცადეთ. თუკი მხატვრობის ნიჭი ნაკლებად გაქვთ, მაშინ შეგიძლიათ მარტივი გეომეტრიული ფიგურები – კვადრატები, რომბები, წრეები –„გამოხაზოთ“.

მოძრაობის მიმარულებით

მარჯვნივ-მარცხნივ თავი ისე აბრუნეთ, რომ მზერას მოძრაობის მიმართულება ჰქონდეს. გაიმეორეთ ორი წუთის განმავლობაში.

თვალების მოჭუტვა

თვალები ჯერ ფართოდ გაახილეთ, შემდეგ მაგრად მოჭუტეთ და მერე დახუჭეთ. ვარჯიში ორი წუთის განმავლობაში შეასრულეთ, ის თვალების კუნთებს მოადუნებს და დაასვენებს.



ამოძრავეთ ყურები

ეს მეტად სასარგებლო ვარჯიშია არა მარტო თვალებისთვის, არამედ დაძაბულობის, თავის ტკივილის მოსახსნელად. ყურების მოძრაობის სწავლა წარბების აწევ-დაწევით უნდა დაიწყოთ. დროთა განმავლობაში ყურების მოძრაობას წარბის დაუხმარებლად ისწავლით, მაშინ კი ეს ვარჯიში უფრო ეფექტიანი იქნება.

სინათლით ვარჯიში

სამი წუთის განმავლობაში ჯერ კაშკაშა სინათლეს უცქირეთ, შემდეგ თვალებზე ხელი აიფარეთ და ისინი დაასვენეთ. გაიმეორეთ 15-ჯერ.

მკვეთრი და ბუნდოვანი

მხედველობის გასაუმჯობესებლად სასარგებლოა არამკვეთრი ხედვის ზონის გავარჯიშება, რომელშიც საგნები ბუნდოვანად ჩანს. ახლომხედველებს ეს ზონა მოშორებით აქვთ, შორსმხედველებს – ცხვირწინ. ამ ზონაში რაიმე საგანი უნდა მოათავსოთ და მზერით ის „შემოხაზოთ“. ვარჯიში მხედველობით უნდა შეასრულოთ, მზერის დაუძაბავად. თავდაპირველად თვალებით ნელა, ძალდაუტანებლად საგნის მთლიან კონტურს შემოავლეთ, შემდეგ იგივე პროცედურა ჯერ მსხვილ, მერე კი მცირე დეტალებზე ჩაატარეთ. ვარჯიშის ბოლოს საგანი უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, ვიდრე მის დაწყებამდე.

შორეული და ახლო მყოფი

სარკეში მზერა ჯერ ძალიან შორს მდებარე საგანზე გაამახვილეთ და ათი წამის განმავლობაში მას გულდასმით დააკვირდით. მერე კი მზერა საკუთარ საათზე, ბეჭედზე ან სამაჯურზე გადაიტანეთ.

შეჩერდი, წამო!

თვალდაუხამხამებლად მზერა რაიმე წერტილზე შეაჩერეთ – ეს, შესაძლოა, იყოს გამდინარე წყალი, სანთლის ალი, ანდა, სულაც სიცარიელე. თანაც თვალს მანამდე ნუ დაახამხამებთ, ვიდრე ცრემლები არ წამოგცვივათ. ეს ვარჯიში თვალებზე მძლავრ მასიმულირებელ ზემოქმედებას ახდენს.

წერტილოვანი მასაჟი

თვალებს ვარჯიშის გარდა ასევე საგანგებო წერტილოვანი მასაჟიც მოუხდება: იგი სისხლის მიმოქცევის მოშლის, გლაუკომისა და კატარაქტის კარგი პროფილაქტიკაა, ეფექტიანია თვალების გადაღლისა და თავის ტკივილის დროს. მას თითების წვერებით აკეთებენ, წერტილები კი თვალების გარშემოა განლაგებული **(იხილეთ ფოტო).**

მათგან პირველია წარბის ზევით ცხვირის ფუძეზე, მეორე – თვალის შიდა კუთხეში, მესამე – თვალის ზევით, თვალის ფოსოს შუაში, მეოთხე – წარბის ბოლოსა და თვალის გარე კუთხეს შორის.

თუკი წერტილზე დაჭერას მსუბუქი ტკივილი და პულსაციის შეგრძნება ახლავს, იგი სწორადაა მიგნებული. წერტილებით ხელის დაჭერა საჭიროა რიტმულად, ერთდროულად ცერებით ან საჩვენებელი თითებით – წრეობრივი მოძრაობით საათის ისრის მიმართულებით ერთი-ორი წუთის განმავლობაში.

◎ აბუჩად აგდებული ქართველები

აფხაზური მხარე ენგურზე მხოლოდ ერთ გადასასვლელს ტოვებს!

დღემდე ჭორის დონეზე მოარული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოხუმის ხელისუფლება მდინარე ენგურზე გადასასვლელების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებას გეგმავს, დღეს ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ დაადასტურა.

ამის შესახებ მან „РИА Новости“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ხაჯიმბას არ დაუზუსტებია, აქვს თუ არა ამ გადაწყვეტილებას კავშირი 19 მაისს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, ე.წ. საზღვრის სიახლოვეს საქართველოს მოქალაქის, 31 წლის გიგა ოთხოზორიას მკვლელობასთან, რომელშიც აფხაზ ე.წ. მესაზღვრეს რაშიდ ქანჯი-ოღლის ედება ბრალი, თუმცა „დისციპლინის ამაღლების აუცილებლობა“ აღნიშნა:

„ყველა ეს გადასასვლელი დაიხურება. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ისე, რომ დისციპლინა იყოს ერთ გადასასვლელზე, თანაც საკმაოდ სერიოზული და წონადი“.

რას მოიტანს სოხუმის მიერ შემოსაღები ახალი წესები, ჯერ-ჯერობით გაუგებარია, თუმცა ფაქტია, რომ მხოლოდ ერთი გადასასვლელის არსებობა ენგურს გაღმა და გამოღმა მცხოვრები ადამიანების გადაადგილებას ხელს არ შეუწყობს.

არადა, ზუგდიდისა და გალის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საყოფაცხოვრებო საჭიროებების გამო იძულებული არიან, ე.წ. საზღვარი თითქმის ყოველდღე კვეთონ, ამბობენ, რომ კონტროლი ბოლო პერიოდში ისედაც გამკაცრდა და ვითარებას აქ რუსი სამხედროები აკონტროლებენ.

„როგორ მოვიქცეთ? როგორ ვიცხოვროთ, როდესაც გადაადგილებასაც კი ვეღარ ვახერხებთ ნორმალურად? საიდან მოვიტანოთ პროდუქტი? ძალიან ცუდ დღეში ვართ! ასეთი მძიმე ვითარება ჯერ არ ყოფილა. და არც არავინ გვაქცევს ყურადღებას – არც რუსები, არც ქართველები, არც აფხაზები. მაგრამ რა შეუძლიათ ქართველებს, როდესაც რუსები არ გვატარებენ?! რუსები – აი, ვინ არის აქ მთავარი!“ – ამბობენ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრები.

სიბერის მტერი ვიტამინი

მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ვიტამინი B3 დაბერებას ანელებს.

დადგინდა, რომ კუნთების რეგენერაციის (სიბერის მთავარი ნიშნის) მიზეზია ღეროვანი უჯრედების „დაღლილობა“. ამიტომაც, დაბერებულ კუნთებს B3 ვიტამინის ძლიერ დოზებს აწვდიდნენ. ამის შედეგად მოხდა არა მარტო მათი აქტივიზაცია, არამედ სიცოცხლეც საგრძნობლად გახანგრძლივდა.

რა ვუყოთ თმას?

ქალიშვილები „არასაჭირო“ ადგილებში თმების მოცილებას ყველა ხერხით ცდილობენ, თუმცა ისინი მაინც ეზრდებათ. თავზე კი, გვინდა-არ გვინდა, მარტო კაცებს კი არა, ხშირად ქალებსაც სცვივათ.

თმა ჩვენ მაიმუნისმაგვარი წინაპრებისგან გვერგო: ისინი კიდურებზე თერმორეგულაციისთვის სჭირდებოდათ. თუმცა, ცხადია, ქალიშვილებისთვის ეს ვერაფერი შეღავათია. ბუნებრივია, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს, თანაც როცა ეპილაციის თანამედროვე მეთოდებზე მიდგება საქმე, ამას გარკვეული ფინანსური ხარჯიც ახლავს.

რაც შეეხება თავზე თმას, ექიმები ქალბატონებს მათს „დანდობასა“ და გაუთავებლად გადაღებვა-გადმოღებვაზე და დახვევაზე უარის თქმას ურჩევენ, რადგან ქიმია და ცხოვრება მხოლოდ ნაწილობრივაა თავსებადი.

იმას ასწავლიან, რაც კარგად იციან...

რამდენიმე წლის წინათ გერმანიის ქალაქ ჰამბურგში რიპერბანის ქუჩაზე ცნობილი საროსკიპო, ფაქტობრივად, უკლიენტებოდ დარჩა და სულ სხვა სახის მომსახურებაზე გადავიდა.

ამ დაწესებულების ყოფილმა „მუშაკებმა“ თავიანთი ძველი მუშტრების კანონიერი ცოლების... კონსულტანტობა დაიწყეს. რამდენიმე ასეულ ევროდ ისინი სამი დღის განმავლობაში მსურველებს საკუთარი ხელობის საიდუმლოებებს აცნობენ...

„გუგამ“ სააკაშვილს ჯავშნიანი ტოიოტა აახლა

ოდესის ოლქის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს ჯავშნიანი ავტომობილი – Toyota Land Cruiser მოჰპარეს. უკრაინის იუსტიციის ყოფილი მინისტრი ელენა ლუკაში „ფეისბუქზე“ წერს, რომ ავტომობილი 6 მილიონ გრივნად არის შეფასებული. „სააკაშვილს მიულოცეს ახალი პოლიციის იუბილე – დღეს, კიევში 6 მილიონ გრივნად შეფასებული Toyota Land Cruiser მოჰპარეს. გილოცავ მიხო, მშვენიერი რეფორმაა, სალამი თანამემამულე რეფორმატორებს“, – წერს ლუკაში.

უკრაინული მედიის ცნობით, მიხეილ სააკაშვილის ავტომობილი დამნაშავეთა ორგანიზებულმა ჯგუფმა გაიტაცა, რომლის სათავეშიც „კანონიერი ქურდი“ სერგეი ღლონტი, მეტსახელად „გუგა“ დგას, რომელიც მათივე ინფორმაციით კიევში საპატიმროშია და ექსტრადიციასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის. მედიის აზრით, ჯიპის გამტაცებლებს სურთ, რომ გარკვეული გარიგება შედგეს და მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ „გუგა“ გათავისუფლდეს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ ანეკდოტები

ლოზუნგი ავტოინსპექციაში:

„ექვსის ნახევარზე მორგში მოხვედრას, სახლში ექვსზე მისვლა სჯობს“.

* * *

ტიპი გაზეთს კითხულობდა და საკუთარი ნეკროლოგი აღმოაჩინა. განაწყენებულმა ძმაკაცს დაურეკა:

– რა უბედურებაა, ნეკროლოგი წაიკითხე?

– წავიკითხე. მართლა, საიდან რეკავ?

* * *

თუ კარგად გრძნობ თავს, თუ შენი მეგობრებიც კარგად გრძნობენ თავს, შენი ნათესავებიც კარგად გრძნობენ თავს, თუ მეზობლებიც თავს გევლებიან, გამოდის, დეპუტატად აურჩევიხართ!

* * *

– **სად** დაიკარგე, თინიკო? არ ჩანდი.

– უი, შენ არ გაგიგია?

– რა ქალო?

– ჩემმა ქმარმა ბრმანაწლავის ოპერაცია გაიკეთა.

– რისი?

– აპენდიციტის.

– ეგ რაღაა, ქალო?

– პატარა, წვრილი ხორცის ნაჭერია, მუცელქვეშაა და არავის სჭირდება.

– უი, ასეთი ჩემ ქმარსაც აქვს. ამაღამვე მოვაჭრი, რომ დაეძინება.

* * *

მატარებლის კუპეში მგზავრობენ ქალი და კაცი. კაცი სთავაზობს ქალს:

– მოდი, გამოვიცნოთ ერთმანეთის პროფესია. ჩემი საქმიანობა მ-ზე იწყება და ე-ზე მთავრდება.

– მეშახტე.

– მართალია, თქვენი?

– ჩემი საქმიანობა ბ-ზე იწყება და ი-ზე მ თ ა ვ რ დ ე ბ ა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– ბიბლიოთეკარი, – ამბობს ქალი, – ხოლო ის, რაც თქვენ გაიფიქრეთ, ჩემი ჰობია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.307; ევრო - 2.57;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.065;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.463;
1000 სომხური დრამი - 5.831

ამინდი 8 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +31
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +28
თბილისი:	ღამე +18,	დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE